

3 - 348

პართული

საენათმაცნიერო საზოგადოების

წელიწადი ეული

I-II

J A H R B U C H

DER GEORGISCHEN
SPRACHWISSENSCHAFTLICHEN GESELLSCHAFT

1923—1924

— — —



თბილისი - TIFLIS

პეტრეა დაიწყო 1924 წ. 20 აპრილს. — დასრულდა 1925 წ. 27 ოქტომბრი.

ს. მ. უ. ს. პოლიგრ. 1 სტამბა (პლეხან. პრ., 91).

მთავრობი № 276. — შეკვ. № 348/298. — დიაზეჭდა 450 ცალი.

გ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა მ ბ ა

გვერდ.
V

1. წინასიტყვაობა	1
2. პროფ. აკაკი შანიძე: წელიწადის ეტიმოლოგიისათვის	1
3. არნოლდ (ბენედიქტე) ჩიქობავა: ზოგადი თვალსაზრისისათვის	12
4. პროფ. გომარგი ახვლედიანი: სამი „t“ ოსურში და მათი მიმართება ძველი-ირანულის შესაფერ ბგერებთან . . .	22
5. არნოლდ (ბენედიქტე) ჩიქობავა: -ყე ნაწილაკი ფერედინულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით	32
6. სვიმონ ჯანაშია: უზენაესი ლვთაების აფხაზური სახელწოდების ფორმისათვის	69
7. ვარლამ თოფურია: ორმაგი უარყოფა ქართულში	74
8. სვიმონ ჯანაშია კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში	117
9. კევსურული მასალები—ბეს. გაბურიას მაერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ	119
10. საზოგადოების სხდომათა ოქმები	337

Inhalt.

S.	V
1. Vorwort	1
2. Prof. A. Chanidzé (Schanidse): Zur Etymologie des georg. წელიწადი 'Jahr'	1
3. Arnold (Benedikt) Tschikobawa: Ueber leitende Gesichtspunkte	12
4. Prof. Georg Achwlediani: Drei T im Ossetischen und ihr Verhältnis zu den entsprechenden alt-iranischen Lauten	22
5. Arnold (Benedikt) Tschikobawa: Partikel Qe in der Fereidan'schen Mundart (der Georgischen Sprache) und seine Bedeutung für grammatisch-logische Beziehungen	32
6. Simon Djanaschia: Ueber die Form des Namens der obersten Gottheit im Abchasischen	69
7. Warlam Topuria: Doppelte Verneinung im Georgischen	74
8. Simon Djanaschia: Noch ein Ueberrest der Chanmetform im gegenwärtigen Georgisch	117
9. Chewssur'sche Materialien--von Bess. Gabuuri gesammelt und von Prof. A. Chanidzé (Schanidse) nebst Glossar herausgegeben	119
10. Sitzungsprotokolle der Gesellschaft	337

წინამდებარე ტოში უკრანისა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების პირმშო შეიღია.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება იმ ძალუმ მოთხოვნილებათა დაკავშირულების საქმეს ემსახურება, რომელთაც უყენებს კავკასიის ენობრივი სინამდვილე საენათმეცნიერო აზროვნებას.

წარმოშობა-შედგენილობით უწინარესად ქართული, მიზნებისა და საკვლევი ობიექტების თვალსაზრისით საზოგადოება გაცილებით უფრო ფართო ხასიათისაა: ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურს გარდა სხვა კავკასური ენები ჩვენი უურადლების ცენტრში უნდა იყვნენ. და თუ ქართული მაინც პირველ რიგში მოვალეობისა, ამის გამართლება ჩვენი მუშაობის პირობების გარდა იმაში არის მოცემული, რომ ხან-გრძლივი, ძეგლებში ასახული ისტორიული წარსულის მქონე ენა შედარებით-ისტორიული შესწავლისათვის გაცილებით უფრო მეტს დასაყრდენს იძლევა, ვიდრე მწერლობის არამქონე ენები.

წინ დიდი მუშაობა გვიძევს, და ამ მუშაობის პროცესში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

1. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების სახით ჩვენს წინ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული საენათმეცნიერო დისკიპლინა, მკვიდრად იგებული გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე: შედარებით-ისტორიული ძიების გზა ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ის მნაპოვარია, რომელზედაც დამყარება ყოველი ენის შესწავლისას აუცილებელია; ექსპერიმენტული და ზოგადი ფონეტიკა კი ძლიერი დამხმარე საშვალებაა ამ შედარებით-ისტორიული მეთოდით მუშაობისას; ამ მხრივაც ინდო-ევროპეისტიკა ჩვენი ავტორიტეტიანი მასწავლებელი და მწვრთნელი უნდა იყოს.

მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება, რამდენადაც საქმე კავკასურ ენათა სინამდვილის მეცნიერულ (resp. ენათმეცნიერულ) ცნებებში აკინძვას შეეხება. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უყოფანო მიღება ინდო-ევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკულ გადმონერებას სრულიადაც არ ნიშნავს; ცნება სინამდვილის სქემაა;

კამისულებული სინამდვილე განსხვავებულ შინაარს აძლევს ცნებას, თუ ამას ცნებას იძლევა, თუნდაც რომ მის აღსანიშნავად ძველი ტერმინი იყოს გამოყენებული.

კავკასურ ენათა აგებულება არა ერთ შინიშვნელოვან პუნქტში კანსხუავდება ინდო-ევროპული ენების აგებულებისაგან; ეს გვავა-ლებს სათანადო დასკვნების გაეყოფებას; ჩვენ ამით არ ვამბობთ, რომ ცნებები აქ სრულიად სხვა სახით აიგება; მაგრამ იქ, სადაც ტრადიციური თავისებურება იჩენს თავს, ჩვენ მხად უნდა ვიყოთ საული შევნებით განვითავისუფლოთ თავი არსებული ტერმინოლო-გიური ტრადიციებისაგან და სინამდვილის შესაფერი ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ჩამოყალიბებას არ დავერიდოთ.

2. კავკასურ ენათა შესწავლას ორმაგი ინტერესი აქვს; ჯერ თავისთავეადი, თვით ამ ენათა ბუნებისა და მათი ურთიერთობის შე-სწავლის თვალსაზრისით და მეორეც, ზოგადად, ენათმეცნიერების თვალსაზრისით: ენობრივი აზროვნების ვარიაციები ძნელად თუ არის სადმე ასეთი მრავალფეროვნებით გადაშლილი, ხოლო ამ ენა-თა ბგერითი მხარე ისეთი სიმღიდრითა და სირთულითა აქ წარმოდგე-ნილი, თითქოს ადამიანის სამეტყველო ორგანოთა საარტიკულაციო შესაძლებლობათა ამოწურვას ცდილანო.

მავრამ უდიდესი სიძნელეც ახლავს თან ამ ენების შესწავლას; ქართულს გარდა არც ერთს საკუთრივ კავკასურ ენას ისტორია, დამწერლობის ძეგლებში მოცემული, არ მოეპოვება; ამ თანდაყოლილ „ცოდვას“ ვერავითარი „მაღლი“ ვერ გამოისყიდის; ამ დანაკლისის მთლიანად ანაზღაურება შეუძლებელია; ამ ენათა ისტორიულ-შედარე-ბითი შესწავლაც სპეციფიკურ ჩარჩოებშია ამიტომაც გამომწყვდეული და პერსპექტივებიც საკმაოდ შემოტარგლული. ასეთ პირობებში არსე-ბული შესაძლებლობის ამოწურვისათვის ერთად-ერთი საშეალებაა: ენის ისტორიის ტვირთი „ენის ვეოვრაფიას“ უნდა დააწვეს... ის-ტორიის მქონე ენისათვისაც ენის ვეოვრაფია, ე. ი. დიალექტებში მოცემული ფაქტები, უდიდესი საშვალებაა ენის ისტორიის მკვდა-რი სინამდვილის გასაცოცხლებლად; ცხადია, ამ ისტორიის გარეშე იგი თავის ცხოველმყოფელ გავლენას ისე ძლიერად ვერ გამოაჩენს; ასე რომ ისტორიის ტვირთს გეოგრაფია მთლიანად ვერ ზიდავს, მავრამ თუ ვისმე შეუძლია მოგვცეს ამ ისტორიის თუნდაც ნაწილო-ბრივი კომპენსაცია, — ეს მხოლოდ მას, ამ „ვეოვრაფიას“...

ეს კი ნიშნავს: ყოველი კუთხეური თავისებურება:— ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური...— ყველა კავკასური ენების

მიხედვით უძღვა იქნება არჩეულობა; ეს არ არის საკმაო კავკასურ ენათა შესწავლისას, მაგრამ ეს არის აუცილებელი მინიმალი პირობა მათთვის შესწავლისათვის ეს დესკრიპტული მომენტი უსათუოდ უნდა იყოს შესწავლის პირველ რიგში.

და თუ ჩეუქ მოფიცინებთ, რომ ყველაზე უკეთ „დამუშავებულის“ კატეგორია ერთ შესწავლა ჯერ კიდევ დასაწყისშია და ქართულის კატეგორია საკმაო ოდენობა პრელიმინარად შესწავლილიც არ არის, თუ ჩეუქ მოფიცინებთ, რომ მთის კავკასურ ენათა რაოდენობის უ არ არის სათანადო ზედმიშევნილობით დადგენილი, არა თუ მათთვის შესწავლილი, — ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენი რამ გვაკლა ჩვენ, რაოდენი სამუშაოა წინასწარ გასაკეთებელი, რომ ედუქტიტარი განხოგადების მეცნიერული უფლება გვქონდეს; თაობათა მეშაობაა აქ საჭირო; ინდივიდუალურ შრომას, რაც უნდა დაიწინოს შენელოვანი იყოს იგი, ვერ ძალუძს იმის გაკეთება, რაც მთელი დასების ფართო კოლექტიური შეთანხმებული მუშაობის პროცესი უნდა იქნეს მიღწეული.

თეორიებით დაწყება ვერასოდეს მოგვცემს ჩვენ კავკასურ ენათა მეცნიერულ სახეობას, არამედ მხოლოდ მკითხაობას; ამიტომაც ამ მეშაობაში ჩვენი გზა არის და უნდა იყოს გზა მკვიდრი პოზიტიური შესწავლისა, ფაქტების შეგროვებისა და მათი ურთიერთობის თანდათანობით რკვევისა...

* * *

„წელიწდეული“-ს ბეჭდვა მეტად გაჭიანურდა; ტექნიკური პირობები წარმოუდგენლად მძიმე აღმოჩნდა; მარტო კარ-ასოს უქონლობამ რამოდენიმე თვით შეგვაწყვეტინა მუშაობა; ამიტომაც 1924 წლის აპრილს წამოწყებული ბეჭდვა მხოლოდ მიმდინარე 1925 წ. თებერვალში დასრულდა; ვერ განხორციელდა ამიტომაც საზოგადოების საბჭოს სურვილი: 1923 წლის „წელიწდეული“ გამოგვეცა 1924 წლის შემოწიგომაშდე, 1924 წლისა კა 1925 წლის დასაწყისამდე; იძულებული გავხდით ერთი წიგნი 1923 და 1924 წლის „წელიწდეული“ ჩაგვეთვალა და მასში საზოგადოების ორივე წლის სხდომათა ოქმები მოგვეთავსებია.

უურნალის ბეჭდვა რომ კიდევ უფრო არ გაჭიანურებულიყო, ხელი ივიღეთ საბიბლიოგრაფიო მასალებისა და რეცენზიების უურნალში მოთავსებაზე და მზა-მზარეული მასალა განხე გადავდევით:

კურთხული, რომ ერზალს ამით მეტად საჭირო განყოფილება აქლია, მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება შემდეგი ტომიდან.

ამავე მიზეზებისა გამო მოგვიხდა საზოგადოების სხდომათა ოქ-
მების (ზოგიერთის გარდა) ძალზე შემოკლება, თუმცა ნათლად
გვქონდა ისიც გათვალისწინებული, რომ საზოგადოების მუშაობის
ეს მხარე რაც შეიძლება მეტის სისრულით უნდა ყოფილიყო უურ-
ნალში წარმოდგენილი.

რაც შეეხება გარეგნულ მხარეს, ზოგი ნაკლი თავიდან ვერ
ავიცილეთ; კორექტურული შეცომები გაიპარა... ასოები და ნიშ-
ნები ზოგვან არაა გამოსული...

მასალათა განრიგებაში თითქოს დარღვეულია ერთგვარი შე-
უარდება: წერილებთან შედარებით სადიალექტოლოგიო მასალებს
(კვესურულის სახით) მეტად დიდი ადგილი უკავია: მაგრამ ამას არ
დავერიდეთ, ვინაიდან აღნიშნული ბასალები მეტად მნიშვნელოვან
ქართულ კილოს ეკუთვნის და მათი მთლიანად მოთავსება აუცილე-
ბელი იყო, წერილების მოთავსება კი მასალების შემდეგ ტექნიკური
მიზეზების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა...

რედ.

საბუნებრივი მანიქი.

რელიგიალოგიისათვის¹.

ჩვენი ახალი საზოგადოების წლიურ ორგანოს სახელიდ
წარმომადგენი დავარქვით, რომელიც წარმოადგენს სუბსტან-
ციურად გაგებულს აღიექტივს და რომელიც ნაწარმოებია წე-
ლიწადისაგან. წელიწადი კი სინონიმია წლისა.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ კუ-
ლტურულში წელი და წელიწადი თითქმის თანაბრად იქმარება ერ-
თა და იმავე მნიშვნელობით. სახელდობრ, ორივეა გამომხა-
ტველი მზის მოქცევის 365 (resp. 366) დღიანი კვინკლოსი-
სა. ეს კვინკლოსია ერთი წელი ანუ ერთი წელიწადი. ამიტომ
შეიძლება ალრიცხვის დროს ითქვას: ხუთი წელი ან ხუთი წე-
ლიწადი, ცხრა წელი ანუ ცხრა წელიწადი' და მისთანანი. ეს კია
შეოლოდ, რომ ასეთ შემთხვევებში ზოგიერთი კილო უპირა-
ტესად წელს კვართოს, ზოგიც კი წელიწადს. თუმცა, მაშასა-
დამე, წელსა და წელიწადს შორის მნიშვნელობის მერივ დღეს
განსხვავება არ მოიპოვება, მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ
არსებოთი სახელისაგან აღიექტივების წარმოების დროს წამსვე
იჩინს ხოლმე თავს განსხვავება, ვინაიდან აღიექტივები ჩვეუ-
ლებრივ წლისაგან არის ნაწარმოები: წლეული (აქედან ზმის-
ზედა წლეული resp. წრეული, წროული), წლიური, წლიანი². ად-
ვერბიც წლისაგან არის ნაწარმოები, სიტყვის მიცემით ბრუნ-
ვაში დაყენებით: წელს. ამას გარდა, ვისიმე ან რისიმე ხნოვა-
ნობის აღსანიშნავად წელი იკვარება და არა წელიწადი. მაგა-
ლითად ვამბობთ: ერთი დღისა, ორი კვირისა, სამი თვისა, ოთხი

¹⁾ წაკითხულია მოქსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სა-
ჯარო სხდომაშე 1924 წ. 18 თებერვალს.

²⁾ ახალი წარმოებაა წლედი: შვიდ-წლედი, ცხრა-წლედი
(სკოლა).

წლისათვის. ერთი სიტყვით, წელიწადის კმარება მეტად შეზღუდვილია. იგი გამოყენებულია წლის მაგივრად ანდა მის გვერდით განსაზღვრულ შემთხვევებში, ისე კი საზოგადო ქართულისათვის ჩვეულებრივია წელი.

საზოგადო ქართულ წელ სიტყვას მოძევ ენებში შეეტკვება წანა (მეგრულში¹ და ზაქ სვანურში), მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისეთი ფონეტიკური სახისა, რომ სრულსა და უნაკლულო შესატყვისობას იძლეოდეს ქართ. წელისან შესადარებლიდ. მეგრული წანა არც თავისი ვოკალიზაციით უდგება მთლად ქ. წელს და არც კონსონანტებით. ხოლო რაიკა შეეხება სვანურ ზაქს, არც იგია მთლად დამაკმაყოფილებელი. მისი მეორე თემა ზაჟ, რომელიც, მაგალითად, მიცემითში იჩენს თავს, და რომელიც შემადგენელი ნაწილია ზაჟჭადელისა („ზაფხული“), ბევრს არას ჰშველის საქმის ვითარებას. მაგრამ მაინც უეპველია მათი ნათესაობრივი კავშირი. გვაკლია მხოლოდ მთელი რიგი ისტორიულად ან დიალექტებში დადასტურებული ფორმებისა, რომელთა შედარებისა და დაპირისპირების წყალობითაც შესაძლებელი იქნება მათთვის თავ-თავისი ადგილის მიჩნა საერთო გენეალოგიურ ტაბულაში. წელიწადი კი განმარტოებით დგას ქართულში. მსგავსი წარმოება არც მეგრულში მოიპოვება და არც სვანურში. იგი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართულის ნიდაგზეა განვითარებული.

წელიწადი რთული სიტყვაა. მისი შემადგენელი ნაწილებია: წელი + წადი. პირველი ნაწილი (წელი) ერთი შეხედვით

¹⁾ მეგრულის სახელწოდებით ჩვენ ავლიშნავთ ერთისა და იმავე ენის ორსავე კილოს: რიონის მეგრულს (რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგალშია მოქცეული, უმთავრესად რიონის მარჯვენა მეტარეს, და რომელიც საკუთრივ მეგრულის სახელით არის ცნობილი) და ჭორობის მეგრულს (რომელიც ამ უამაღ რსმალეთის საზღვრებშია მოყოლილი, უმთავრესად ჭორობის მარცხენა მეტარეს, და რომელიც ჩვეულებრივ ჭანურის ან კიდევ ლაზურის სახელით არის ცნობილი). საკუთრივ მეგრული და ჭანური ერთურთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები.

არა შეიძლება სახელობითის ფორმა ეგონოს, მაგრამ არა. არა ამ ფორმისაგანაა მიღებული: *წელითი. მეორე ნაწილი (-წადა) შემოკლებული ფორმაა, მისი უძველესი სახე უფრო უფრო უფრო ყოფილი არადი. მაშასადამე, წელიწადი მიღებული უფრო ამ ფორმისაგან: *წელითიწლადი, რომელიც პირველ უფრო -თა დაუკარგავს და ამიტომ ერთი მარცვლით შემოკლება, ხოლო მეორეში ლასი გამოუკლია. თუ ახლა მოახველ ბოლოკიდურ ინს, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშანია, მივიღებთ წელითიწლად ფორმას, რომელიც წარმოვადება უკვე როგორც ორი სხვადასხვა ფორმა ერთისა და ასევე წელ სიტყვისა. პირველი ნაწილი (წელითი) იშვიათი უფრო კარგია, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ვაჟვდება, ხოლო წლად არის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა. სახელადამე, წელიწადი თავის წარმოშობით რთული სიტყვა უფრისა, ნაწარმოები ფუძის გაორკეცების საშუალებით.

ქართულში მოგვეპოვება მრავალი რთული სიტყვა, გა-
ძლიერებული ფუძისაგან ნაწარმოები, მაგრამ მათი წარმოება
სულ სხვანაირია. სახელდობრ, რთული სიტყვის საწარმოებ-
რად აღებულია ერთ შემთხვევაში ფლე და განმეორებულია
უფრო-უფრო უფრო უფრო, მაგალ. რაკ-რაკი, ძაგ-ძაგი, ცახ-ცახი, რახ-
ხახი, ბაჯ-ბაჯი, ბუტ-ბუტი და მისთ.¹⁾ ან არა და ძირისეული
მოვანი აბლაუტის საშუალებით შეცვლილია (ჩვეულებრივ მეო-
რე ნაწილში, იშვიათად პირველშიაც) უნად: ბაგა-ბუგი, ფაცა-
რეზი, რამე-რუმე, დაპა-დუბით, კანტი-კუნტად, ჭდავ-უდუვი, ბალან-
ხულახი, ბმშ-ბმში, ურთაერთას, ჭურჭერი (ჭურჭელი) და მისთა-
ნანი. მაგრამ წელიწადი სხვარიგად არის გაორკეცებული. ორი-
ვე მისი ნაწილი (წელითი + წლად) სხვადასხვა ბრუნვის ფორმე-

¹⁾ ამავე ჯგუფს ეკუთვნის კან-კალი, ჩურ-ჩული, ძუნ-ძული,
ადაც დისიმილაციის გზით ფუძისეული თანხმოვანი შეცვლილია. აქვე უნდა მო-
ვასტონოთ ისეთი სიტყვები, სადაც გაორკეცების დროს დაკარგულია ძირისეული
უანგელოვანი: ბიბინი, გუგუნი, დუდუნი, დუდუნი, ზუზუნი, წუ-

მის და შეფრთვების შემდეგ ფონეტიკურ ცვლილებათა ვამო გურული კვების ნიშან-კვალი საკმაოდ წაშლილი, ისე რომ იგი ჰავიტელია და შეცნობილი მიმართულებითი ბრუნვისაგან ნაწარმოვა ერთ მოლიან სიტყვად. ამიტომ იგი თავდაპირველად „დაუქტრივი“ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა მიეღო სუბსტანტიური მნიშვნელობა¹.

წელითი წლად მარტო თეორიულად ალდგენილი ფორმა როდია. იგი გვხვდება, მაგალითად, დავითნის უძველეს კელნაწერში, სადაც ვკითხულობთ: ხუდგომას იანვარისსა წელითი წლად დაურთვის ერთი ნიადაგდ რიცხესა მას ერთ რიცხეად ეზა წელზი (უნივ. სიძველეთა მუზეუმის № 38 კელნაწერი, ფ. 239 r. ძველი პაგინაციით).

წელითი წლად[']ში ჩვენს ყურადღებას იპყრობს და იქნას მოითხოვს პირველი ნაწილი (წელითი), რომლის ფორმაც არა-წელულებრივია თვით ძველი ქართულისთვისაც კი. ძველს ქართულში მსგავსივე დაბოლოვება (-ითი) მოეპოვება სხვა სიტყვებსაც, რომლებიც აგრეთვე გაორკეცებულად იქმარება, მაგალითი ჟამითი ჟამად, დღითი დღედ², ქალაქითი ქალაქად, უბუნითი უბუნისამდე, ნათესავითი ნათესავადმდე და მისთანანი და სწორეთ ამათ ჯგუფს ეკუთვნის ჩვენი წელითი წლად'იც. ამ შემთხვევებში -ითი არ არის ჩვეულებრივი ბრუნვის მაწარმოებელი სუფიქსი. იგი საზოგადოდ და საყოველთაოდ რომელსამე ბრუნვას არ ახასიათებს, მაგრამ უკეთუ ბოლოკიდურ ინს ანად შევუცვლით, მაშინ მივიღებთ -ითა სუფიქსს, რომელიც წელულეპრივ და საზოგადოდ მოქმედებითი ბრუნვის მაწარმოებელია. ამ -ითა სუფიქსს ეკვეცება ხოლმე ბოლოკიდური ანი და ძველს ქართულში კურად, ხოლო ახალს ქართულში უმთავრესად და უპირატესად -ით ჯგუფის სახით არის ხოლმე

¹⁾ შდრ. თვალადი, ტანადი, თავადი, ქმიადი, დიადი ($<$ დიდადი), პირადი, გულადი, პურადი, სულადი და მისთ.

²⁾ დღევანდელ სასაუბროსა და სალიტერატურო ენაში ეს ძველადგან ნასესხები ფორმა ბოლოკიდური დონის შეკვეცით იხმარება: დღითი - დღე (მაგალითად, „ფასები დღითი - დღე მატულობს“ - ო, იტყვიან).

წილაწიადას ეტომოლოგიასათვის. იმისათვის, მოვცემოვება ორი სუფიქსი (-ითა
და -თი), რომელებიც ერთურთისაგან განსხვავდებიან რო-
გორუ ფორმით, ისე მნიშვნელობით: ერთია (-ითა) ინსტრუ-
მენტალისა და მეორეც (-ითი) აბლატივის მაწარმოებელი.
მაგრამ რაკი ორთავე სუფიქსს თავთავიანთ განვითარების პრო-
ცესში ერთურთის განმასხვავებელი ბოლოკიდური კმოვნები
დაუკარგავთ, ამიტომ ორთავ მოუკია - ით და წარმოშობით
არი სხვადასხვა სუფიქსი ფორმალურად ერთი მეორეს და-
ქმნავსებია და ერთ ბრუნვაში გაერთიანებულა; რომელსაც
ჰამცენელობა ორივესი შეპრჩენია: ინსტრუმენტალისა და აბ-
ლატივისა. ეს ძველს ქართულში. ახალს ქართულში კი - ით
დაბოლოვება ინსტრუმენტალმა მიისაკუთრა, აბლატივისათვის
კი ბარტო - ით დაბოლოვება ვერ იქნა საკმაოდ ცნობილი
და მას დაერთო - გან თანდებული, რომლის დასაწყისში თან-
კონვანმაც წინამავალი თანი გაამჟღერა, დონად აქცია და შემ-
დევ თანდათანობით თვითონაც დაიკარგა ზოგ-ზოგ კილოში:
- ითან >- იდგან >- იდან¹.

ასეთია, ჩემის ფიქრით, - ითა და - ითი სუფიქსის ძირი-
თადი მნიშვნელობა და ურთიერთ შორის დამოკიდებულება
და განვითარების გზები. მაგრამ იქ ისიც უნდა დავსძინოთ,
რომ - ითი სუფიქსს სხვაგვარი აკსნა-განმარტებაც შეიძლება
მოექცნოს. სახელდობრ, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ინ-
სტრუმენტალის ფორმები ქართულში თავისთავად მატარებელ-
ნი არიან აბლატივის მნიშვნელობისაც და რომ - ითი სუფი-
ქსის ბოლოკიდური ინი ამ ერთისა, თუმცა ლა კი ორ-მნიშვ-
ნელობიანი ინსტრუმენტალი ბრუნვის ბოლო-მოკვეცილ (-ით)
სუფიქსთან ერთად შეეორცებული და ერთ დროს სრულიად
დამოუკიდებელი ნაწილაკი იყო, რომელიც პრეპოზიციულია
კუთხებოდა და რომელიც მომდევნო სიტყვას მიმართულებით

¹) აქ ჩვენთვის საჭირო არ არის ზოგიერთი წვრილმანი, მაგალითად, რომ
- ით სუფიქსი დღესაც აბლატივის მაწარმოებელია მთის კილოებში (კახე-
- ით = კახეთიდან და მისთ.).

შესრულებული ჰქონდა, მაგალითად ასე: ქალაქით ო ქალაქად. თუ აურე გავიგებდით, გაშინ ამ ინს სომხური **ի** ამოუდგებოდა ჩაუტაში. რომელიც მიმართულების აღსანიშნავად იკუზატივს მომამხვავს (მაგალ. **ի քაղաք**), ხოლო დამოუკიდებელი ნა-
ტურალუს წინამავალ სიტყვასთან შეკორცების პროცესის გასა-
უსალისწინებლად სპარსული იზაფეთის ინს დავიმოწმებდით.
გაშინ - თა სუფიქსის ბოლოკიდურ ინში გვექნებოდა ივივე
რი, რომელიც ნაშთია პრეპოზიციული წარვოებისა ქართულ-
ში რამოდენსამე მაგალითში, სადაც ოლონდ ამ პრეპოზიციულ
ინს დაუკარგავს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და შეკვირ-
ცებია მომდევნო სიტყვის ფორმას: იმრგველივ, იგურდივ, იბრ-
ტევავ. ეს ფორმები იმ მკრივაც არის საყურადღებო, რომ გა-
თი სახით ჩვენამდე მოღწეულია ნაშთი ერთი გამჭრალი ბრუნ-
ვისა. ეს ის გადავარდნილი ბრუნვაა, რომლის - აფ დაბოლო-
ვებაც დღესაც კარტულში მხოლოდ ზმნისზედათა
საწარმოებლად (და შემდეგ ზმნისზედათაგან ზედშესრულთა
საწარმოებლად): ხანგრძლივ, მუდმივ, სხვაფრივ, უეცრივ, *სწერივ
(ასწერივ, დასწერივ, გასწერივ და სხვ.), ღუთივ (< ღმრთივ),
*ქმრივ (აქედან: *ქმრივი > ქურივი), მკარ-იღლავ, უწყვეტლივ
შეგჩერებლივ, საშეუთხივ, მრთლავ, ძლივ¹ და მისთანანი.

ამ ორ აჯსნათაგან მე პირადად პირველი უფრო მაკვაყუ-
ფილებს. მაშასადამე, ირკვევა, რომ წელიწადი მიღებულია წე-
ლითი წლად'ისაგან, რომლის პირველ ნაწილში ერთი გადა-
ვარდნილი და გადაშენებული ბრუნვის ფორმაა აქამომდე მოღ-
წეული, აბლატივის მნიშვნელობით, წელ სიტყვისაგან.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა და შეჩერება. მაგრამ ერთ
გარემოებას კიდევ უნდა შევეხო გაკვრით მაინც. საქმე ის გახ-
ლავს, რომ წელითი წლად ვერ არის ყოველ-მკრივ უნაკლული
და მთლად მისაღები ფორმა. ვერ არის იმიტომ, რომ არ არის

¹⁾ ასეთი ფორმა (ძლივ) დღესაც ცოცხალია ზოგიერთ კილოში (მაგალ.
თიანეთის მიღამოებში), მაგრამ საზოგადოდ კი სანი აქვს დართული ანალოგის
წყალობით: ძლივს.

ასეთი კუთხით არაუკ ნაწილში: პირველ ნაწილში
დაწყებული კუთხით უნდა ჰქონ. მეტაზე კი არა. მოსალოდნე-
ლი ფრთხი არა უნდა მართვა არა და მისი ამოღება
უნდა მიწოდონ. მულ სალორების გარეულსა და
ასეთი უნდა მოვალეობის უძველეს პირზე ის ბრუნვებში, რო-
მე არა უნდა მოვალეობა ერთგვათ¹ (წევა, წევათა, წევადებევ),
მულ ფრთხი მეტაზე უნდოე, როცა სუფიქსი თან-
მოწოდა ასეთი (წევა, წევათა, წევნი, წელთა). ეს არის
ამავე ის ფრთხოების კანონის, რომელიც განაგებს კო-
რონის რაღატერომ საჭირო ქამესურ ენებში² და კერძოდ ქარ-
თული. ფრთხოები შეეხება ფუძისეულ კმოვნებს და გა-
მოწოდებული ბოლო პრეფიქსებისა და სუფიქსების გავლენით
და ამავე მილიანი მოვალეობის, რომ უკეთუ პრეფიქსი კმოვნით თავ-
ულ და მისამაღამე მისი მარცვალი ღიაა ბოლოში, იგი ჩვეუ-
ლებრივ ფრთხის დასაწყის თანკმოვანს მიიკრავს და მარცვალი
დამუტება, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე უმეშვეოდ მო-
მილუნი კრევნის ამოღება ფუძიდან. ხოლო როდესაც სუფიქსი
მოწოდა იწყება და მაშასადამე ღიაა თავში, მაშინ იგი წინა-
მდებარ ფრთხისეულ თანკმოვანს მიიკრავს ხოლმე და ამით წინა-
მდებარ ფრთხისეულ კმოვანს ამოიღებს ხოლმე. თვით პრეფი-
ქსის და სუფიქსის კმოვნებიც ემორჩილება რედუქციის კა-
ნონს, თუ ვინიცობა რომ ერთ პრეფიქსს მეორე პრეფიქსი
დაუდგა წინ, ან კიდევ თუ სუფიქსს სხვა სუფიქსი მოჰყვა შემ-
დგე. თუ რა წილი უდევს რედუქციის საქმეში მახვილს, ეს
უდევ საკულევია, მაგრამ ასეთი გახლავს ფაქტიური მდგომა-
რეობა და საზოგადო წესი, რომელიც ყოველგან და ყოველ-

¹⁾ სახელობითის ინი და წოდებითის ონი მხედველობაში მისაღები არაა, ასეთანაც ისინი ახალი ფორმაციისანი არიან.

²⁾ ქამესური ენებია: **ძა**(რთული), **მე**(გრული) და **ს(ე)ვნური**. ამ სახელით
დაწყებული ჩვენ იმ ჯგუფს ენებისას, რომელიც აქამომდე სხვადასხვა სახელით
ისა ცნობილი: ქართული, ივერული, სამხრეთ-კავკასური, იაფეტური (პირვან-
დათ გადაბით).

უფრო მა არის ხოლმე მკაცრად გატარებული. პრეფიქს სუფი-
ქუმის გავლენა ფუძის ქმოვნებზე, როგორც ჩანს, განსაკუთ-
არების ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების
კრიტიკის ხანაში, ხოლო ერთობის დარღვევის შემდეგ, და-
კარგვებისა და დაშორების პროცესში, თვითეულ კილოში
აუკიდებულად განვითარებულა ეს კანონი. ძველებური სახე
დავს მას უმთავრესად სვანური ენის სამს კილოში აქვს და-
ცრდი (ბალს-ზემოურსა, ბალს-ქვემოურსა და ლაშხურში), ხო-
ლო შესუსტებულა სვანურის ერთს კილოსა (ლენტეხურში)
და ქართულში და სულ უკიდურეს მოშლამდე მისულა. იგი
მეგრულში. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ რამოდე
ნიშე მაგალითი.

შებეჭ'ი არის ერთი სვანური სოფლის სახელი ლაშხეთ-
ში. ამ სიტყვაში ორი მარცვალია და ორსავე მარცვალში
ენია ქმოვანი. ეს ქმოვნები ორივე შეიძლება ამოღებულ
იქმნეს: პირველი მაშინ, როდესაც სიტყვას მიერთვის ქმოვ-
ნით გათავებული პრეფიქსი, ხოლო მეორე მაშინ, რო-
დესაც სიტყვას მოერთვის ქმოვნით დაწყებული სუფიქსი.
ამიტომ გვაქვს მუმბეჭ („მებეცელა“) და მებეჭა („მებეც-
ლები“). მსგავსად ამისა ქაშაბ სიტყვისაგან (რომელიც ალ-
ნიშნავს „ჩერქეზეთს“) გვაქვს ასეთი ფორმები: მუშაბ („ქაშა-
ბი, ჩერქეზი“), ლეშაბუ („ქაშაგური, ჩერქეზული“) და ქაშ-
ბარ¹ („ქაშაგები, ჩერქეზები“); აგრეთვე ცინაჟ ფუძისაგან ნა-
წარმოებია: ცინეა („მოცვი“) და ლეცნაჟ („სამოცვე“); მაშარ
ფუძისაგან: მაშრი („ფართო“) და ხოშარა („უფართოესი“); ტე-
ბად ფუძისაგან: ტებდი („თბილი“), ხოტბიდა („უფრო თბი-
ლი“), მცტბიდე („უცელაზე უფრო თბილი“), სტბიდე („ათ-
ბობს“), ხსტბიდე („ათბობს“), ადტებდე („გაათბო“), ათტებიდ
(„გაათბე“); ქაშაბ ფუძისაგან: ქაშა („ლონე“), ლეშაბ („ლო-

¹⁾ იციან ბალს-ზემოურსა და ბალს-ქვემოურში.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როცა სვანურში კანისა, განისა და ქანის შემ-
დგა მღვრიეული (უმღაუტიანი) ანი მოდის, მათ იმტაცია უჩნდებათ, რაიცა გრაფი.
ჩადან გამოხატული არა გვაქვს ხოლმე, ვინაიდან იგი თავისთავად იგულისხმება.

ნიუბი), ნიუბის („უმარი, დამართება“); ტეხნ ფუძისაგან, არაუგარეთ ტეხნ აქტი აღმართება შედით-პასივის საწარ- მისამად ჭრა ართობობს ჩანაცი. გვატეს: ტეხნი („მრუნ- ული“), ნიუბი ნი უკარით იქმნება სიტყვა („უბრუნდე- ბა“), ართობ ჭრა („მოდის“), მიუნდ ხავება („მოუდის“), ატენ („ატენუა“), ნიუბი დაჭრება („მეტატება“), ადგან ართობი, ნიუბი ნი დაჭრება („მეტაკვდა“) და მისთან.

უ ა მიუბრუნდება ამას, რა უკარისეული უნი და ონი მიუბრუნდება ამას უკარის რედუქციის დროს, არამედ უ მიუბრუნდება მიუბრუნდება ამ უშლის კელს), უბრუნდება ამას უკარის უკარი, რომელსაც ქვემო ნაწილი რკინისა არ ა მიუბრუნდება („მატურუნუა“), სიკურ („ზის“), დასიკურა („სა- კური“), დაჭრება („საჯდომად გამოსაყენებელი“, მაგალ. ატენის ატენი („მისა“), ანტონე („მოშალა“) და მისთ. მაგრამ უ მიუბრუნდება ალუნიშნო განსაკუთრებით ის გარემოება, რა უკარის კანონი მეტად მოდუნებულია ლენტეხურ კურონი, სადაც ქმოვნები მეტ სიმკვიდრეს, იჩენენ და იმ- კურონი არ იყრიცებიან, როგორც სხვა კილოებში. თვით სახე- ლი სუნთქოს ამ კუთხისა, რომელიც სხვა კილოებზე რედუქ- ციონი არის წარმოდგენილი (დენტა, დელტა), აქ კმოვან- ცუნამურად გამოითქმის ხოლმე: დენტა. თუ როგორია არ- სუნთქო განსხვავება ამ მკრიც ლენტეხურისა და სხვა კილოებს შორის, შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი წინადადებიდან: ტენტრეჭა მარა სამაჭირ გეზალა დათვერა („ლენტეხელ კურ“ მეტად ეზარება შვილის სწავლება“), რომელიც, თუ გა- დაუდებოთ, მაგალითად, ბალს-ზემოურ კილოზე, ასეთს სახეს მოიღოთ: მენტრეჭა მარა სამჭირ გეზალა დათვერა.

შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

ლენტეხურად.

გარგალა („ლაპარაკი“)
განხევა („მოკვი“)

ბალს-ზემოურად.

გარგლა.
ცინქა.

ხევახა	(„ჰევია“)	ხაფხურა.
მეტადი	(„ბედავს“)	მეტადი.
ანაზორი	(„იკრიბება“)	ანაზორი.
დაჭრება	(„სათიბი“)	დაჭრება.
დიხაუაფალ	(„შექცევა, გართობა“)	დიხაუაფალ
დაბალახ	(„საბალახო“)	დაბალახ.
ნაგაზი	(„კვირა, შვიდეული“)	ნაგაზი.
ანასუე	(„გააკეთა“)	ანასუე.
კედეხი	(„მოდის“)	კედეხი.
ხოგედენი	(„მოუდის“)	ხოგედენი.
უერხი	(„ზოგი“)	უერხი.
მაშრი	(„ფართო“)	მაშრი.
წერნი	(„წითელი“)	წერნი.
მეხუერე	(„დანგრეული“)	მეხუერე.
ტებედი	(„თბილი“)	ტებედი [აქ ფუძეა: ტე- ბედი].
მუღანი	(„მწარე“)	მუღანი.
კელათხი	(„მაღალი“)	კელათხი.
ქათაფალ, ქათაფარ	(„ქათმები“)	ქათფარ.
დაქათალ	(„საქათმე“)	დაქათალ.
მუშგვარი	(„სტუმარი“)	მუშგვარი და მისთ.

მაშასადამე, ლენტეხურში, სხვა კილოებთან შედარებით, პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძისეულ კოვნებზე სუსტია. ამ თავისებურობის გამო ლენტეხურს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ შემთხვევებში, ვინაიდან ხანდახან კირს ხოლმე საქმე დაკარგული ფუძისეული კოვნის ოლიგენის დროს სხვა კილოების მასალების მიხედვით. ქართულში კიდევ მეტი არის მოღუნებული კოვანთა რედუქციის კანონი. ჯეო ერთი ამ კანონს ემორჩილება უმ-თავრესად ფუძისეული ანი და ენი, იშვიათად კი ონიც, რო-მელიც ჩვეულებრივ კვალს სტოვებს უბრჯგუს (resp. ვინის) სახით და მერე განსაზღვრულ შემთხვევებში, უპირატესად რაეს-თან და ლასთან (სხვა ბგერებთან იშვიათად), მერმე კიდევ სა რედუქციო ძალა უმთავრესად სუფიქსებს და აქვთ შერჩენილი, ხოლო პრეფიქსები ჩვეულებრივ ველარას აწყენენ ხოლმე

უკანასკნელ კონცენტრის. თ რამოდენიმე მაგალითი. კაჯ ფუძი-
საგან გვაძეს: ჭ-ტ-ა-ჭ, ჭ-ჭ-ა-ჭ, ჭ-ა-ჭ-ს, ჭ-ა, (მოქლა),
ჭ-ა (მოქლა), ჭ-ჭ-ა (< * კალ-ა-ჭ-ა). უკანასკნელ მაგალითში
უკანასკნელი ერთი აწმყოს თემის მაწარმოებელი (- ა) და
მუთხე პასდარის აღმნიშვნელი (- ა). - ა სუფიქსმა გამოიწვია
უკანასკნელი ანის დაკარგვა, ხოლო თვით დაკარგა თავისი
მომდევნო მეორე სუფიქსის (მასდარის) წყალობით.
უკანასკნელი: დავდებ — დადგა — დადგეს, დავგედ — დავდა — დავდეს, ვუ-
ასა — თხრთა, გავიქეც — გაქცევა, ნიგზა — ნიგზის, მინდოთა —
მინდურის, ნითრი — ნივრის, გავპსენ — გავპსნი, შევიპუარ — შეიპურა,
შევა — აშიას (< * ამბეის), მამალი — მამლის, წყალი — წყლის,
წყალური — მდვდლის და მისთანანი.

ტელად ზოგიერთ სიტყვაში რედუქცია ჰქონდა კმოვანს,
მოფარითად, დმერთი — დმრთისა (> დუთისა), მექრდი — მერდისა,
მინდური ახალმა ქართულმა კელი აილო რედუქციაზე: დღევან-
დელ სასაუბრო ენაში ჩვეულებრივია მექრდის, მექრდით, ხო-
ლო კშირია აგრეთვე დმერთის' აც. ცოცხალ კილოებში რე-
დექცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო და-
სავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული. ქარალსა და
კართველი ჯერ კიდევ შეიძლება გაიგონოს კაცმა ისეთი ფორმა,
როგორიცაა ქართველის, მაშინ, როდესაც ლიხთ გადაღმა მხო-
ლოდ ქართველის იკმარება. დიალექტური განსხვავება ამ კანო-
ნის გამოყენების დროს, რა თქმა უნდა, ძველადაც უნდა ყო-
რილიყო და წელითი. წლად' აც მოწამეა ამისი. მისი პირველი
ნაწილი გვიჩვენებს, რომ იგი მიღებული უნდა იყოს ისეთი
კრონდან, რომელშიაც რედუქციის კანონი მოდუნებული
უმფილა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი კმოვანი ყვე-
ლა ბრუნვაში უნდა შენახულიყო: წელისა, წელითა, წელად. მაშა-
სალამე, ჩვენ ამ კილოზე უნდა გვქონდა წელითი წელად და არა
წერთა წლად, რომელიც, უეჭველია, მერმეა განვითარებული.

ბერძნული ჩიქობავა.

ზოგადი თვალსაზრისისათვის.

(პრინციპული შენიშვნები).

თანამედროვე ენათმეცნიერება სხვა არაფერია, თუ არ მეცნიერული გრამატიკა და საენათმეცნიერო თეორია. პირველი შეისწავლის ენის სინამდვილეს გარკვეულს მომენტში (აღწერითი გზით) ან მისი განვითარების სივრცეში შედარებითისტორიული მეთოდით; მეორე იხილავს იმ მოვლენათ, რომელნიც ენათა ცხოვრებაში ზოგადნი არიან.

ამდენადვე პირველი ინდივიდუალი ბუნებისაა: არსებობს ცალკე აღებული ენის (ან ენათა მთელი ჯგუფის) გრამატიკა, მაგრამ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს გრამატიკა საერთოდ, ზოგადი (ასეთი რამ ან იქნებოდა ანტიმეცნიერული, თუ იგი მართლა გრამატიკად მოგვევლინებოდა, ან იქნებოდა მეცნიერული, მაგრამ მაშინ გრამატიკა არ იქნებოდა). მეორე, პირიქით, გენერალური ბუნებისაა; საკითხები, როგორიცაა: რა არის ენა, როგორი გზით წარმოიშობა და ვრცელდება ენაში თავისებურება, რა არის ფორმა, წინადაღება, არსებობს თუ არა ბგერათა ცვალებადობაში კანონზომიერება და სხვ., თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ნაწილობრივ მაინც, მეტაფიზიკურ საკითხს ენის წარმოშობის შესახებ, ესა და მსგავსი საკითხები მნიშვნელოვანია ყოველი ენის შესწავლისას, ხოლო მათი გარკვევა ენათა ერთი ჯგუფის მიხედვითაც არ შეიძლება იქნეს უმნიშვნელო სხვათათვის.

როგორც გრამატიკის, ისე საენათმეცნიერო თეორიის თანამედროვე მდგომარეობა სავსებით განისაზღვრება თითოეული მათგანის ისტორიით და კერძოთ იმ საკვლევი მასა-

ლის სინაზდებით, რომლის მეცნიერულმა დამუშავებაშაც
უნდამდექნიერებას საფუძველი ჩაუყარა. ენათმეცნიერების ის-
ტორიულს ვითარებაში პოულობს ახსნას ის გარემოება, რომ
ფრამატების ნაწილები (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი,
სემინოლოგია...) მეცნიერულად დამუშავების მხრით არ-
უცხოთად განსხვავდებიან ურთიერთისაგან, ხოლო მათი ურთი-
ერთობა საკმაოდ მოუწყობელია; ფონეტიკა ყველაზე უფრო
დამტკმეცვებული ნაწილია ინდო-ევროპულ ენათა გრამატიკებ-
ში, მაგრამ როდესაც სინტაქსი უძველეს ხანებში მოცემულ
უნაზდებში ტრიალებს და პირვანდელ ჩარჩოებს ვერ გაი-
აღვება. მეცნრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წამოყენე-
ბული ფორმული გრამატიკის ლოლიკა-ფსიქოლოგიისაგან ვი-
მოვწერის ხორცებს მას თითქმის ვერ ელირსა, და Steinthalის
უკარისტით ნაგულისხმევი წამლობა დასრულებულად ვერ ჩა-
უვადა. კერძოდ, სინტაქსი დღესაც შენდება ისეთი მეცნიე-
რული მისალით, რომელიც ენის სინამდვილის წიაღში კი ორ
არის მოპოებული, არამედ სხვა სამყაროდან არის მოტანილი;
მაგრამ დღესაც ის ძირითადი ცნებანი მოიხმარებიან, რომელ-
იც მეცნიერული აზროვნების იმ ხანაში მუშავდებოდენ, რო-
დესაც ენის შესახები მოძლვრება საფუძვლიანად იყო ირეული
აზრის შესახებ მოძლვრებასთან და ცნებათა დიფერენციაციაზე
დამარაკიც არ შეიძლებოდა.

თანამედროვე ენათმეცნიერება იმ გარდახალისების შედე-
ვნა, რომელიც ტრადიციულს გრამატიკაში შედარებითმა და
სტრუქტულმა მეთოდმა შეიტანა. ამ მეთოდის გამოყენებამ გა-
მოიწვია გრამატიკის არსებითი რეკონსტრუქცია: ფონეტიკის
სახით მას შეეძინა უდიდესი საკვლევი იარაღი, თვალსაჩინოდ
უკრი იცვალა იმ ნაწილმა, რომელიც ამ უამად მორფოლო-
გიის სახელით არის ცნობილი, იშვა სემასიოლოგია. ბუნებ-
როვად ეწოდა ამიტომაც ამ მეთოდების პიონერებს Bopp-
Grimmს თანამედროვე გრამატიკისა და მით ენათმეცნიერების
მამათმთავრების საპატიო სახელი.

ინდო-ევროპულ ენათა სინამდვილე განსაკუთრებით ხელ-
საყრდელი იყო განახლებული დისციპლინის ფართო განვი-
თარებისათვის: სანსკრიტ-ავესტა-ბერძნულ-ლათინურ-გუთური
თვალუწვდენელ სარბიელს წარმოადგენდა როგორც შედარე-
ბითისა, ისე ისტორიული თვალსაზრისის გაშლისათვის: რამო-
დენიმე ათასი წლის მწერლობითი ძეგლები მოუთხრობდენ
იქ მკვლევარს თავის ისტორიულ ყოფას სხვადასხვა ეპოქაში.
Bopp-Grimmის მიერ ნაჩვენებ და ნაწილობრივ კიდეც გათე-
ლილ გზას მეცნიერთა მთელი თაობები მიჰყა: ჩამოყალიბდა
კლასიკური სახით ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრა-
მატიკა; ხოლო არა ნაკლებ საგულისხმო და მნიშვნელოვანი
ის არის, რომ მკვეთრი სახე მიიღო თვით მეთოდმა; მისი სა-
იმედო დასაყრდენი ფონეტიკა გახდა: შესატყვისობათა ძიები-
სას მისი სიტყვა იყო გადამწყვეტი.

ამიერიდან სხვა ენების კვლევისას სარბიელზე გამოვიდა
იგივე მეთოდი იმავე საკვლევი იარაღით ხელში.

შედარებით-ისტორიული მეთოდით მოცემულ აზროვ-
ნების ტრიუმფს ერთი ფსიქოლოგიურად ბუნებრივი, ხოლო
მეცნიერული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით არასასურველი
შედეგი მიჰყა: ვკულისხმობთ გატაცებას შედარებით და
თვით მეთოდის გარდაფასებას (Ueberschätzung).

ენათა ისტორიის ოკვევაში გამარჯვებული მეთოდი ეთ-
ნიურ ერთეულთა, ერთა ისტორიის ბნელი საკითხების სა-
რკვევად მოიმარჯვეს: ლინგვისტური პალეონთოლოგია ამის
შედეგია. თვით ენათმე ნიერების სფეროში ამავე გატაცების
შეცეგას უნდა ჩაითვალოს პრაქნის რეკონსტრუქციის ცდა.
ინდო-ევროპულ ენათა კვლევის წიაღში გაჩენილი მისწრა-
უბა დოგმატურად იქნა გადატანილი სხვა ენათა კვლევისას.
უკვე დაისვა საკითხი სემური პიავნის შესახებ, ინდო-ევრო-
პულ და სემურ ენათა ნათესაობისათვის, ხოლო ქამური
ოჯახის წამოშველებით პრაპოაენის საკითხსაც მიაღწიეს.

შე მოვლენა წორმალურად ვერ ჩაითვლება: 1. რეკონ-
აციურების საკითხს გრამატიკა (და მით ენათმეცნიერება)
უკურნა სუეროში გადაჰყავს: საენათმეცნიერო აზროვნების
შედეგთა შორის დადებით ცოდნას სავსებით პიპოთეტური
სისისოს „ცოდნა“ ერევა; გრამატიკის ზოგადი მეცნიერული
სურცერეზისათვის ეს მხოლოდ შავნებელია, მისი მეცნიე-
რული დონის დაპამლაბლებელია; 2. პრეისტორიული
შეკითხებისათვის ზრუნვით კი ენათმეცნიერებას ეფ-
ულება ისეთი პრობლემები, რომელნიც მისი ძირითადი მიზ-
ნის გარეშე იმყოფებიან. ამ გზაზე შედგომით ენათმეცნიე-
რული შეარგვას თავისთავადი დისკიპლინის ხასიათს, იგი
ატორის ancilla ხდება.

შეარგვა, შოგადათ, სიმბოლოთა სისტემაა; ის, რისი სიმბო-
ლოც იგი არის, ცნობერების მდგომარეობაა; დანაწევრებულ
შექმნები მოცემულ სიმბოლოთა სამყარო ენათმეცნიერების
საფუძვლა. ამით უკვე განისაზღვრება ენათმეცნიერების ბუნება:
აუ თავისთავადი მეცნიერებაა; როგორც ასეთი, იგი
აუ არის ამა თუ იმ ენის სინამდვილეს, ამღმავებს ენის გრა-
მატიკას; ემყარება ენის უკვე შემუშავებულ თეორიას და
აუ დარსებული შეაქვს მასში შესწორებანი იმისღამიხედვით, თუ
ამ მდლევა პრინციპულად ახალს შესასწავლი აბიექტი.
მისი ცნებები მისი სინამდვილის სქემაა; იმიტომაც ვერ
აუ არის იგი სხვა ბუნების, ვინემ თვით სინამდვილე: გრამა-
ტიკა ვერ დაამუშავებს თავის საგანს ლოლიკისა და ფსიქო-
ლოგიკის ცნებებით ია ევე, როგორც ფიზიოლოგია ვერ დაე-
შუარება ანატომიის ცნებებს.

ამგვარად: დანაწევრებული ბერითი სინამდვილის მისივე
პუნქტირივი საზომით შესწავლა გრამატიკისა და მასთან ენათ-
მეცნიერების თავისთავადობის აუცილებელი პირობაა.
ამით ისიც არის ნათქვამი, რომ მისი მიზანი წმინდა თეორიული
პუნქტირივია: საშკოლო გრამატიკის საჭიროებათ იგი ისევე ვერ

და ეჭვემდება ოება, როგორც,—Benfeyს მოხდენილი შენიშვნის
ან იყოს¹⁾,—უმაღლესი მათემატიკა ვაჭრობა-მრეწველობაში
აუცილებელ ბუხბალტერიას.

თავისთავადობა არ ნიშნავს დამოუკიდებ-
ლობას: ენათმეცნიერება ვერ იქნება დამოუკიდებელი სხვა
შეცნიერებათაგან ისევე, როგორც ქიმია ვერ იქნება დამოუკი-
დებელი ფიზიკისაგან; ეს არც სასურველი იქნებოდა. პირ-
იქოთ, მას უფრო, ვინემ სხვა რომელსამე მეცნიერებას აქვს
მრავალი შესახები პუნქტები მეზობელ დისკიპლინებთან,
როგორიცაა ლოლიკა, ფილოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია,
ფიქოლოგია, ფიზიოლოგია. ამას განსაზღვრავს მისი საგნის
ბუნება: მაშასადამე, ამ დამოუკიდებულებას იგი გვერდს ვერ
აუხვევს. მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ მისი
მიზანი და აქედან გამომდინარე თვალსაზრისი გარკვეუ-
ლად იქნეს ჩამოყალიბებული; წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ
დამოუკიდებულებათა ქსელში მიიჩქმალება მისი თავის-
თავადობა.

დამოუკიდებელი თვალსაზრისით კვლეული ენობრივი სი-
ნამდვილე ამა თუ იმ ენის გრამატიკას მოგვცემს; ამით პირ-
ველი საფეხური განვლილი; ენის სქემა სათანადო გრამატი-
კულ ცნებებში მოცემულია: ენის სიმბოლიკის აზრთან ურთი-
ერთობის საკითხი ენათმეცნიერების შეორე და უფრო მნი-
შვნელოვანი საჭიროა: სხვადასხვა ენის სტრუქტურის დამა-
ხასიათებელი თავისებურებანი ერთ აღმნიშვნელთან უნდა იქ-
ნენ შეთანაბრებულნი, ერთი საზომით განზომილნი: ამა თუ იმ
ენის წყობი¹⁾; გარკვევა მის მიმართებაში აზრთან ენათმეცნიე-
რების უმაღლესი მიზანია.

კავკასიის სინამდვილის მიმართ ენათმეცნიერება ნაწი-
ლობრივ მაინც თავისებურ მდგომარეობაშია; ე. წ. კავკა-

¹⁾ შდრ. Geschichte der Sprachwissenschaft, München 1869, 83. 1.

სრუ² ენათა დიდი წილი შეტყობინებას მოკლემულია ან იყო მიუღიბული დღემდი: უმშერლობო ენა ვერასოდეს ვერ მის- კუნ შედარებით მეთოდს იმ გასაქანს, რასაც იგი ჰპოებდა ალ-ფურაბულ ენათა შესწავლისას. შედარებითი მე- თოდი ისტორიული თვალსაზრისის რეალიზა- ციას საშვალებაა და არა პირიქით. მხოლოდ ისტორი- ული პერსპექტივაში გაშლილი სინამდვილე წარმოადგენს მდგრად ნიადაგს შედარებითი მეთოდის ბრწყინვალე გამარ- ჯულამათვის. იქ, სადაც ისტორია არ მოიპოვება, შედარე- ბით მეთოდის როლი ვიწროთ განსაზღვრულია. ამიტომაც:

„თანდაყოლილ ცოდვათა“ გამო კავკასურ ენათა შესწა- ვა იმ სახით ვერასოდეს ჩამოყალიბდება, როგორც ინდო- ებრეულ ენათა შესახებ მოძლვრება, და 2. შედარებითი შემოდგრად გატაცება აქ გაცილებით უფრო საზიანო იქ- ნომით, ვინემ იმავე ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას:

ამ შედლება მხოლოდ პიპოთეზათა ქსელში გავვახვიოს. მე- ქრისტიანისათვის პიპოთეზა სასარგებლოა (და ზოგგან, მიუ- კავშირი, ე. წ. სამუშაო პიპოთეზა), თუ კი უდივო თანამდების გაშუქებას ემსახურება, მაგრამ პიპოთეზებისაგან ამავე შენობა უკვე არ არის მეცნიერება, არამედ პრინ- ციცელ იგივე მეტაფიზიკა, რომლის დაძლევა საკუთარ არა- მაინც ყოველი კერძო მეცნიერების პირდაპირი ვა- ლია ეს იგივე პოეზია „ცნებებში ჩამოყალიბებული“, რო- გორც ახასიათებდა ერთი მოაზროვნე მეტაფიზიკას; ცნებებში შემოუღიბებული პოეზია მაინც პოეზია და არა მეცნიერება.

ამზე იდეალი: ინდო-ევროპულ ენათა ნიადაგზე შედარე- ბით მეთოდით გატაცება ენათმეცნიერებას თავისთა-

²) ამ საბერძოდებით ქვემოთ ყველგან აღინიშნება სპეციფიკური კავკასუ- რის კუნის გრაფიკულ-მეტრულ-სეანური, აფხაზური და ყაბარდის ანუ ჩერქეზეთის, სამხრეთ და დასუსტის ენები; კავკასიაში წარმოდგენილი სხვა ოჯახთა ენები არ აღმოჩენება.

2) მუნიციპალიტეტი. სახოგ. შელიშდეული. I. 1923.

ვადი მეცნიერული დისკიპლინის ხასიათს უკარგავს, ჩვენს სინამდვილეში იგი მას საერთოდ მეცნიერულ ხასიათს დაუკარგავდა.

კავკასიურ ენათა შესწავლას (განსაკუთრებით ეს ქართულ-მეგრულ-სვანურის შესახებ ითქმის) იმ თავითვე თან სდევდა ერთი უცნაურობა: კვლევის პირველსავე „დღეებში“ მათი „ნათლისლება“ ხდებოდა; შედეგიც დამახაიათებელი მოჰყვებოდა ხოლმე: იგი ხან ინდო-ევროპულ ოჯახს განეკუთვნებოდა, ხან თურანულს; ხან სემურთან მონათესავე ძლიერდებოდა, ხან კიდევ, სამშუხაროდ, იშვიათად, დამოუკიდებელ ერთეულად შეიმცნობოდა; ევროპის მეცნიერთა ასეთი მოჰყრობა საგნისაღმი გასაგებია: კავკასიური ენები საგანგებოდ, თავისთავად, მათი ყურადღების საგანი საერთოდ არ ყოფილა, ზოგად მიმოხილვათა დროს კი ეს მონათვლა სქემატიურობისათვის აუცილებელი იყო; არც იმის თქმა შეიძლება, რომ მაიცდამაინც ძნელი ყოფილიყოს: ყველა ჰპოულობრდა თავისი თეორიის განმამტკიცებელ საბუთებს...

როცა ერთი ენის ნიაზაგზე წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა მის ფარგლებში ვერ ხერხდება და მონათესავე ენობრივი ერთეულის დახმარებაა საჭირო, გენეტური უ-თერთობის საკითხი უსათუოდ მნიშვნელოვანია: იგი გვიჩვენებს, თუ საითკენ უნდა იქნეს მიმართული შედარებითი მეთოდის მძლე იარაღი საკითხის გამოსარკვევად; ამ უენადვე წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით იგი, საერთოდ, ფასეულია.

მაგრამ ენათმეცნიერებისათვის უცხოა და შეუფერებელი, თუ ენათა გენეზისი ერთა ურთიერთობის კვლევას ისახავს შიზნად: ენათმეცნიერი ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსად უკიცევა, რომელსაც ხელში ხშირად მეტად საეჭვო იარაღი უკავია, რამდენადაც ენობრივი ნათესაობა ვერც ლოლიკურად და ვერც ფაქტიურად ეთნიური ნათესაობის აუცილებელ მხილებად ვერ ჩაითვლება.

იმ შემთხვევაშიდაც, როცა ენობრივი ურთიერთობის საკითხი საენათმეცნიერო მიზნებისათვის გამოიყენების, მეთოდოლოგიურად იუცილებელ წინნამძღვრად უნდა იქნეს მიჩნეული ფაქტი ნათესაური ურთიერთობის არსებობისა.

როცა ურთიერთობის ეს უდაო ფაქტი მოიპოვება, შეიძლება მაზე დაყრდნობა და საენათმეცნიერო ამოცანებისათვის გამოყენება. ინდო-ევროპულ ენებში ეს საკმაოდ იდვილი უკა: არ იყო საჭირო Boppის გენიალი ინტუიცია, რომ ანსკრიტის ბერძნულ-ლათინურთან ნათესაობა შეემჩნია; მაგ გაცილებით უფრო ჩვეულებრივი მოაზროვნე William Jonesიც ნათლიად ხედავდა.

არსებითად სხვაა მდგომარეობა ჩვენში; უთიერთობის საკითხი პირველი გაცნობითვე აქ არ იქრება (თუ არ მივიღებთ შედევრელობაში ქართულ-შეგრულ-სვანურის ურთიერთობას და აურეთვე აფხაზურის მიმართებას ყაბარდოს სხვა ენებთან); ბევრს უნდა დღემდი დამწერლობა არ გაიჩნდა, ენათმეცნიერება ვერა-სოდეს იხილავს მათ ისტორიულ სახეობას; მისი დღევანდელი სახის შეცნობაც თითქმის მთლიანად მომავლის საჭმეა.

ურთიერთობის¹ საკითხი აქ დასაყრდენად გამოსადევი ფაქტი კი არ არის, არამედ საკვლევი პრობლემა, და წინაშემ მისი გადაწყვეტა მხოლოდ საზიანო შეიძლება იყოს. ანუუკია, თუნდაც გენიალი მოაზროვნისა, შემცდარ აზრს წარმოშობს, თუ გარკვეული ფაქტის სახით აზროვნებას მტკიცე დასაყრდენი არ მოეპოვება. საეჭვო ლირსების მშვენიერებურიას კი კეშარიტებას პაწია მარცვალი სჯობია.

ამგვარად: ენათმეცნიერება ვერ იქნება მეზობელ დისკიპლინებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ იგი უსათუოდ უნდა იყოს თავისთავიდი.

¹⁾ ჯულისბობთ, როგორც ამ ენათა ჯგუფების „შიგნი“ ურთიერთობას, ამ მით ნათესაურ დამოკიდებულებას სხვა ოჯახებთან თუ ჯგუფებთან.

მისი თავისთავადობის საფუძველი და საკმაო პირობა შისი ძირითადი მიზანია (დანაწევრებულ ბგერებში მოცემული მეტყველების ანალიზი და ამ მეტყველებს სტრუქტურის აზრისადმი მიმართების ძიება) და ამ მიზნით განსაზღვრული თვალსაზრისი.

საენათმეცნიერო კვლევათა შილწევების გამოყენება სხვა დისკიპლინათა პრობლემების სარკვევად არ უნდა იყოს ენათმეცნიერების საპროგრამო მიზანი. სადაც ეს მოხდება, იქ უკვე ენათმეცნიერება არ არის.

თავისთავადობის განმტკიცება უწინარეს ყოვლისა მის ცნებათა საკვლევი სინამდვილის ბუნებისამებრ ჩამოყალიბების აუცილებლობას გულისხმობს. ამით უნდა იქნეს დაძლეული სხვა დისკიპლინებთან მჭიდრო ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ცნებათა აღრევის არასასურველი მოვლენები.

ენათმეცნიერება წმინდა თეორიული დისკიპლინაა. პრაქტიკული მიზანი ვერც ერთს მის ნაბიჯს ვერ შებორკავს.

კავკასური ენების შესწავლისას ყველა ეს გარემოებანი განსაკუთრებით საგულისხმოა; მათი თავისებურება უსათუოდ მოითხოვს ამას. შედარებითი მეთოდის გამოყენებისათვის, როდენაც ენათა დიდი წილი ისტორიული თვალსაზრისით განხილვას ვერ დაექვემდებარება, აქ გაცილებით უფრო ვიწროა ასპარეზი, ვინემ, მაგალ., ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას; ამ თვალსაზრისის გამოყენებაც ვერისოდეს მიგვიყვანს ისეთ შედეგებამდი, როგორიც მან ინდო-ევროპულ ენათა სფეროში მოგვცი.

• გენეტური ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული საკითხები კავკასურ ენათა მიმართ მათი საფუძვლიანი პოზიტიური

შემწევებულ შემთხვევას და არაპი და არაპი იმ თავი-
თუ. სამართლო თეატრის წამოუენებით მეშაობის დაწყება ენა-
თ მუსიკურთული შემწევებულ სათვის მეთოდოლოგიურად აუცი-
ლად მუსიკული სამუდაბაც არ არის, ხოლო საკითხის სპე-
ციალური სახელის გამო წინასწარ აღიარებულ თეორიას ყალ-
ბი შემთხვევაში შექმნალა შეუძლია: „ინ დუ ქ'ცი ით-თ ეო-
როვანურ არა არა პირიქით, უნდა იყოს ჩვენი გზა, — ამას
შემთხვეული შეუძლიერული მეთოდოლოგის ანბანი.

1924 წ. 27 მარტი.

ტეატრის.

მათ. ვიორები აჩვლედიანი.

სამი „t“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირა
ცულის შესაცვერ გვერდითან¹.

1. ირანული ენების მკვლევართა მიერ მიღებულია ოსურ-
ში ირი „t“-ს არსებობა²:

პირველი „t“, რომლის გადმოცემა შეიძლება ქართული
თანით, მათი აზრით განვითარებულია 1. ირანული t-სიგან
სიტყვის თავში და x, s, f,-ს შემდეგ (მაგალითად: ოსუ-
რი თარსენ „მეშინია“, ავესტის tərəsaiti „ეშინია, ძაგძაგებს“;
ოსური სთაუნ „ვაჭებ“, ავესტის staomi და სხვა) და 2. ირა-
ნული थ-საგან (მაგალ.: ოსური ფათან „სიფართოვე“, ავესტის
raθana—„ფართე“, ოსური ართა, „სამი“, ავესტის थrāyō და
სხვა). აქ არ ვეხები კომპლექსებში განვითარებულ თ-ს.

მეორე „t“ უდრის ქართულ ტარს. მკვლევარნიმას უწოდე-
ბენ „კავკასურ“ ბგერას (კპწ ჭ-სთან ერთად) და პოულობენ
შემდეგ ოსურ სიტყვებში: ტესსენ „შეჩრა, შეტენა“, ტაფსნ
„ბრტყელი“, ტარს „ქვა კერასთან“, ტანგ „შიგნეული, ნაწლე-
ვი“, ტავქსნენ „ტყაბ, გასკდომა“ (ხმის მიმბაძველობითი სიტ-
ყვაა), მატალ „მოდუნებული, სუსტი“ და სტალ „ვარსკვლავი“.

მაგრამ ზემოთ მოყვანილი შესატყვისობის დადგენა სუსტი
აღმოჩნდება, როგორც კი ტ-ს მქონე სიტყვებს ეტიმოლოგიუ-
რად განვიხილავთ. მართალია, ყველა მათგანის ეტიმოლოგია
ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ ოსური სტალ რომ

¹⁾ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯა-
რო სტდომაზე 1924 წ. 11 მარტს.

²⁾ H. Hübschmann n. Etyinologie und Lautlehre der ossetischen Sprache, Strassb. 1887. გვ. 95 და შემ.

W. Miller. Die Sprache der Osseten, Strassb. 1903, გვ. 27 და შემ.

თესტის starს ესატყვისება¹, ეს უეპველია, და ოსური ტენიენ
რომ არიული tud-ძირიდანაა (შეად. სანსკრ. tudáti „სცემს“),
ქვეც საფიქრებელია². ამიტომ, დანარჩენი ეტიმოლოგიურად
უსაკული სიტყვები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, ამ თუ
ასეთ სიტყვაში ჩვენ მოველოდით თ-ს ირანული t-საგან, მა-
ნამდაშე, სთალე-ს და თენიენ-ს.

2. განვიხილოთ, თუ როგორაა წარმოდგენილი „t“ ოსურ
ლიტერებში. მხედველობაში გვექნება როგორც ქართული, ისე
ჟურული ასოებით ნაბეჭდი ისური ტექსტები, და აგრეთვე ჩემ
შემდეგ 1923 წ. ზაფხულში სამხრეთ-ისეთში ჩაწერილი, მაგრამ
კუთხით დაუბეჭდავი ტექსტები.

ა. ფრანგულში (სთელა ჩინგ ქანს ფსალტირ. C.-P.B.
1842), სახარებასა (სელდაგ ევანგელიე, თიფლის 1864) და
კურულს ენაში (ხალადთა თიფლის 1908 და ავდანე ზარაგ
და სამართა, თიფლის 1908, თარგმანია ი. გოგებაშვილის „იავ-
ნიან რა წმინდა“), რომლებიც რუსული ასოებითაა დაბეჭდი-
ლი. კუთხით ურთიერთისაგან ორი „t“:

ა) ის ნიშნი, რომელიც ქართული თანით შეგვიძლია
გადასახა, ხმაურებულია სახელთა მრავლობითის სუფიქსად,
მაგ ამავე ლიტოს 2 პირის მრავლობითის სუფიქსად და
უკავშირდება სატექსტო:

კუთხით მომართებული პირი „დაღუნი“, სდევითს „ძვილ-
ი“ (20.24), ჭრილი „დაღადუმდეთ“, ჭესეთ „პმონებ-
ეთ“ (22.1.), უკავშირ „ტუ“ (48.5), წარაგ „მწყებისი“ (47.15)
და შემდეგ მეტა:

ნახატები მომართ „პთვერნი“ (პარ. 20.25),
უკავშირ „პარალენი“ (პარ. 21.5.), ზედუთ „არქტო“,
(პარ. 21.5), ტრით (პარ. 20.31) და მრ. სხვა.

¹ W. Miller. Indogermanische Forschungen XXI B. 1907, გვ. 331.

² H. Hübschmann. Op. c. გვ. 96, W. Miller. Op. c. 30.

³ პარალელური რეკტო აღნიშნავს თავს, მეორე—მუხლს.

გ. ოხვლედიანი

უოცითე-ს ენაში: უუდეთა ამა აშიარისნთა „აზრი და ფიქტები“ (გოგება შვილი გვ. 22), პახულარ ქსნეთ „და-მითმეთ“ (გოგება შვილი გვ. 12), აჭთა „ასე“, მათთვა „ჯავრისაგან“ (გოგება შვილი, გვ. 20) და მრავალი სხვები.

В) ხოლო მეორე ნიშანი, რომელიც შეთანხმებით შევიძლია გამოვხატოთ ქართული ტარით („ტ“), ხმარებულია partic. perf. pass. ში, imperf. ში, futur. ში, შემწეობითი ზმის ღმენის მრავლობითში და მრავალ ძირისეულ სიტყვაში—ყოველგან უმთავრესად ს და ხ-ს შემდეგ:

ფსალმუნ ში: უა სნეჟუსტ ნა უძნ „იგი არ შეიძრას“ (45.5), ასასტა ამა... ბასესტა „შემუსროს და... დასწვას“ (45.10), აცვდესტ „მოვიდენ“ (47.5), სქოდტ „ქმნა“ (45.10), ხტირად „დიდება“ (45.12), ხტივ „ქებულ“ (47.2) და სხვები.

ამგვარივე ნიშნითაა წარმოდგენილი სტალი: სტალი-თამ (8.5); სტალითან (146.4).

სახარები ში: ახურსტ „conductus“ (მათ. 20.9), არცვდესტ „მოვიდეს“ (20.10), უქსტ „erunt“ (20.16), ესრქსნენ კახტო „რათა დადუმნეს“ (20.31), ზახტოი „ჭრეს“ (20.33), ბასიდტი სრმ „მოუწოდა მათ“ (20.32), ხისტ „primus“ (20.27), ცსხტითა „თვალთა“ (20.24).

აქც ამგვარივე ნიშნითაა გაღმოცემული სტალი (მათ. 2.2, 9).

უოცითე-ს ენაში: არსტ გრესტ „მიმართული იყვნენ“ (გოგება შვ. 22), სტუთ „ხართ“ (იქვე 23), ცვდესტ „მოვიდენ“ (იქვე 23), ბასტ „ქვეყანა“ (იქვე 20), სცსტად „ადგა“ (იქვე 24), ცსხტითა „თვალები“ (იქვე), აქ დ-სთან არის არა ტ, როგორც ფსალმუნსა და სახა-რებაში, არამედ თ: ქოდთა „ქმნა“ და სხვა. „კავკასური“ ტ-ს მქონე სიტყვები უოცითე-ს ენაში არ გვხვდება, მაგრამ ცხადია, რომ მის მიმართ მდგომარეობა ისეთი იქნებოდა, როგორც

თელი და სახურავის (იმ. ანთონ ჩერნ) ¹. ტექსტების
შემდეგ თელი სიტყვის თავის დროისათვის შე-
სწორებული კრიტიკული არჩევა კურა, das ist Osse-
tische Grammatik Petersburg, 1844², რომელსაც დღე-
საც არ გამოიყენება მატერიალი, და „Русско-осетинский
словарь“ კრისტიან სიტყვისათვის ვარა და ვარ ველისა, ვლა-
დიმი 1874 წელს შემო დამტკიცილია რუსული ასოციათ.
ამ თუ კრიტიკული შედარებით ჩვენი საკითხისათვის ახალი
შემდეგ Sjöstrand ის, რომ ტ-ს ხმარობს ზოგ ისეთ სიტ-
ყვის, სადაც ჩვეულებრივ დღეს თ იხმარება, მაგ. ტარუჯი-
ს კრიტიკული. ტექსტი და რამდენიმე სხვა, გვ. 439.
ამ შემთხვევაში ისე ისების შრომას, იგი განსხვავდება ამ
კრიტიკული მით, რომ „კავკასური“ ტ-ს ადგილზე
არის და ტრანსლიტერაციის (იმ. ზემოთ) იხმარება თ: ბათუსსენ
(ს. 66) და თანამდებობის „ნაწლევები“ (გვ. 178).

პ. მეორე რიგის ტექსტებშიც ² ორი ნიშანია, მა-
გრა მათ წესით ხმარებული, ვიდრე პირველი რიგისაში,
ამასთან ტ-ს იხმარება მხოლოდ იმ რამოდენსამე სიტყვაში,
რომ „კავკასური“ ტ-ს დაულივებათ, ხოლო უველი დანარჩენ
შემთხვევაში ხმარებულია ნიშანი, რომელიც თავისი ბერითი
კრიტიკული უდრის ქართულ ტ-ს.

მ. კრისტიკული აღსანიშნავია ქართული ასოციათ ნა-
მუშა ასეთი ტექსტები. იალლუ ზიძისა (ანბანი, A., B.
და C.-ტექსტები)³, რომელთაგან ამ ჩვენი საკითხისათვის

¹ მათ კრიტიკისა და კრიტიკების მიერ შეგროვები და აკად. ში ჭ ნ ე-
როვანი გამოცემა „Осетинские тексты“-დან მაგალითები არ მომყავს, რად-
გან ამ კრიტიკული მატერიალი არა არაური შეატყოს. ეს შრომა ეკუთვნის ამავე
კრიტიკის ტექსტების მიმმართ.

² ა. ჩავთვა. იმავე ასოცია, I, II, III და მისგვე Die Sprache
der Oseten. E. Erichschw. u. a. op. cit.

³ W. Müller und R. Stuckenberg. Fünf ossetische Erzählungen, 1891
არაური ტექსტები. ჩავთვა. ბათუ, 1920 (დამტკიცილია რუსული ასოციათ).

⁴ ა. მარტინ. არაური ტექსტები. Datus praedicativus ისტორია, ტფილ.
კრიტიკული მომსახური, 1923 წ. კვ. 127.

უმავრესობად ვისარგებლებ C.-ტექსტით, რადგანაც მასში
მართვის საერთოდ გაუმჯობესებულია A. და B.-ტექსტებ-
ათ შედარებით¹⁾:

ა) თ იხმარება მრავლობითის სუფიქსად სიხელებში, ზონის
აუტო დროის 2 პ. მრავლ. სუფიქსად და მრავალ ძირისეულ
სატყვაში:

ბონთი „დღეთა“ (5.15), აფხმანთი „ძმათა“ (51.19),
ქსერთი „რომელთა“ (83.13), უსდეთი „ცოლნი“ (77.7),
მომთან „ქმართა“ (77.8).

შენიშვნა 1. ფუძისეული და შემდეგ თ არა
ჩანს: ზედე „ანგელოსთა“ (9.13), მარდე „მკვდართა“ (13.15).
A. და B.-ტექსტებში კი ფუძისეული და შემდეგ თ
მოგვევლინება და სახით: უდღე „სულთა“ (A. 97.18),
თარიღადღე „ცოდრათა“ (B. 67.8).

ბახენწეთ „შერაცხენით“ (45.15), აცხუთ „წარვე-
დით“ (47.15), ამთხუთ „ასწავებდით“ (47.19), ჭრთ
„ძე“ (5.18), მალეთ „სიკვდილი“ (33.20), თასაც „შიში-
თა“ (19.9), ართ „სამი“ (31.5), აფთ „ეგრეთ“ (79.17).

ბ) იმ შემთხვევებში, სადაც პირველი რიგის ტექსტებში
შეთანხმებით ქართული ტ ვიხმარეთ, იალლუზიდე იქ სისტემა-
ტიურად და ხმარობს:

ახდესდე „წარვიდეს“ (47.9), სესდადი „იღდგა“ (43.18),
უსრასდი „განმართლებულ არს“ (45.7), ზასდა „უბრძანა“
(47.10), უჩერდესდ „მას უამსა“ (47.7), ამართსდ „თანანერგ“
(33.19), ქარგესდი „ქრისტე“ (35.12), ჭიდედე „იქოს“ (B.
87.2), ბაივესდა „ისმინა“ (B. 87.23).

შენიშვნა 2. გვაქვს შემთხვევები, სადაც imperf.ის
ფორმებში ეს და არა ჩანს: ჭრდა (13.2, მოველოდით
ჭრდდა), ზედა (83.1, მოველოდით ზედდა), უსქოდოდ (41.5,

¹⁾ პროფ. გ. ა წ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. პროფესიული ხმოვნის საკითხისათვის ოსურ-
ში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 4, გვ. 66.

მოვლენა კუთხიდონ) და სხვა. ეს აიხსნება იმით, რომ
ც-ში საფრთხოდ გაორკეცებული თანხმოვანი სრულიად
ა აქტობა. სამაგიეროდ A. და B.-ში გვაქვს ქოდდონ
(A. 33.2), გადა ფაჯურდდონ (იქვე 21), ქოდდა (B. 81.5)
და შეადგინე ამ მოვლენას ზემოთ (შენიშვნა 1) ალ-
მარკული: როგორც იქ, ისე აქაც ადგილი აქვს ასიმი-
ურობის: შედევი ერთი და იგივეა, მაგრამ პროცესი გან-
ასაყველულია: იქ ფუძისეულ და ემსგავსებოდა მრავლო-
ბობის სუფრაქსი თ, ხოლო აქ, imperf. ში, და ემსგავსე-
ბოდა ის ბგერა, რომელსაც იალლუზიდე დონით გამო-
ხატავდა, მაგრამ ჩვენის აზრით იგი და ბგერა არ შეიძლე-
ბოდა ყოფილიყო (იხ. ქვემოთ).

ც) იალლუზიძის ტექსტებში ტ ძალიან იშვიათადაა ხმარე-
ბული. ერთადერთი ოსური სიტყვა, რომელშიც იგი იხმარება.
ამ ფაქტურაზონ „შევძრწუნდე“ (C. 43 7.). იხმარება ტ უც-
ხა სატექსტო, მაგ. მიტროპოლიტი (19.16), იმპერატორი (21.14),
მცხოვრი (47.4), ქანსტატიინე (23.18) და სხვა.

დ. შეოთხე რიგის ტექსტებს წარმოალგენს ჩემ მიერ სამ-
არა ისეთში—კუდაროსა და ჯავისხეობაში—ჩაწერილები. ამ
რიგებისთვის დადასტურებული და გამართლებულია იალლუზი-
ძის თ და ტ. რაც შეეხება მის სდ და ხდ კომპლექსებს, იქ
შემოხა უფრო სტ და ხტ (სტაგ, სისტა, ბაიუსტა, ზასტა...),
უფრო ხთ და ხთ ან სდ და ხდ; ასე რომ იძულებული ვიყა-
ვა ჩატერერა სტ და ხტ, თუმც ვგრძნობდი, რომ აქ ქართული
ტ ბგერა არ ისმოდა. ძირისეულ სიტყვაში ამ კომპლექსს
გამოიწევ ასეთი ბგერა მესმოდა ტროქსნენ-ში „pēdere“. (ჩაწე-
რალი ჭლაპარში № 34, სოფ. სოჭიყუ-ში: ატირთქოდთა
„pēpedēt“, აგრეთვე სოფ. სკაცხურში სხვა ფორმებში,
რომ № 30), სინტაგ-ში „სარეცელი“ (ზღაპ. № 30)¹ და რამ-

¹ ეს უკანასკნელი სიტყვა ამგვარადვე აქვს გადმოცემული ეპისკ. იო-
ანება, ი. მისი ციფარა. გვ. 184, სახარებაში კი სუნთავ, (ლუკ. 8.19).

დენსამე სხვაში. აქვე უნდა დავუმატო, რომ ჩემს ტექსტებში და-
დასტურებულია უეპეველი ტ-ც: სტალინი (ჩირწინა, ამოცანა
№ 7), ბატისტი და ატისტი (ზღაპ. № 30), ცავ (ზღაპ. № 23).

ასეთია ფაქტიური მასალა, „t-ს“ საკითხისათვის არსებუ-
ლი ტექსტების და, ნაწილობრივ, ცოცხალი გამოთქმის მი-
ხედვით.

3. სრულიად მართებული იქნება, თუ ჩვენი საკითხისა-
თვის გამოსავალ წერტილად მივიღებთ იალღუზიძის ტექს-
ტებს (იხ. ზემოთ მესამე გ. რიგი), საღაც ჩვენის აზრით ურ-
თიერთისაგან გარჩეულია სამი „t“ ამა თუ იმ სახით, სახელ-
დობრ თ, „დ“ და ტ. თუ ამას დავუმატებთ ჩემს დაკვირვე-
ბას ცოცხალ გამოთქმაზე (იხ. ზემოთ მეოთხე დ. რიგი), სა-
კითხი გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. გამოსარკვევი იქნე-
ბა მხოლოდ ამ სამი „t-ს“ მიმართება ირანულის შესაფერ
ბერებთან ანუ მათი წარმოშობა...

იალღუზიძის ტექსტებისა და ჩემი დაკვირვების მიხე-
დვით საკითხის გადაწყვეტის საწინააღმდეგოდ შეიძლება მხო-
ლოდ ერთი რისამე თქმა: ეს ხომ სამხრეთ ოსურის ენაა! მაგ-
რამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჯერ ერთი ის,
რომ მარტივ ხშულთა განსხვავება არ არსებობს ჩრდილო და
სამხრეთ ოსურში. ეს ჯერ არავის გამოუთქვამს და არც შეი-
ძლება ვინმემგამოთქვას. მეორე და უმთავრესი არის ისევ დაბე-
ჭდილი ტექსტები, რომელთა მოწმობანი უკვე წარმოდგენილია
ზემოთ. მხედველობაში გვაქვს ა. რიგის ტექსტები: თუ გამო-
ვრიცხავთ იმ რამოდენსამე სიტყვას, საღაც უეპეველი ტ არსე-
ბობს (სტალინი და სხვა), დავინახავთ, რომ ა. რიგის ტექსტებ-
შიც გარჩეულია ორი „t“ (თ და „ტ“, იხ. ზემოთ) ისე, რო-
გორც იალღუზიძისაში; განსხვავება მხოლოდ ისა, რომ
იალღუზიძეს არ ქონდა ნიშანი ამ „ტ“ს გამოსახატავად
და სწერდა „დ“ს (იხ. ზემოთ), ხოლო ა. რიგის ტექსტე-
ბის ავტორებს არ ქონდათ ნიშანი ნამდვილი ტსათვის (სტალინი

და შევაძე) და გამოიყენეს ამ შემთხვევისათვისაც ის ნიშანი (ჩუ. T), რომლითაც ისინი „ტ“-ს გამოხატავდენ¹. ი ღლ-დარჩიდეს რომ სდ და ხდ კომპლექსში არც თ ესმოდა და არც ტ, ეს თავისთავად აშკარაა; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ კომპლექსებში არც და არსებობდა: ამის მოწამეა ყველა ლინგუისტი ტექსტები. შეიძლება აქ ს და ხ-ს მეზობლობას რა-სუ პიშვნელობა ქონდეს, ე. ი. ის ბგერა, რომელსაც ჩვენ კურაისხმობთ იალღუზიძის „დ“-ში, სახელდობრ „ტ“, აუტუ ნამდვილ დ-დ ს და ხ-ს გავლენით? ეს შესაძლებელია და ამით დადასტურდებოდა ჩვენი მოსაზრება, რადგანაც არც მ და არც ტ არ განიცდის ასეთ გავლენას, ე. ი. არ გადა-დის დ-დ ასეთ მეზობლობაში. მაგალითად, ჩვენ გვაქვს: ნი ჩსსთა „თანანადებნი ჩვენნი“ (C. 101.7 და A. 5.21), ფე-ტოდონ „შევძრწუნდე“ (C. 47.7).

რაც შეეხება მეორე (ბ.) რიგის ტექსტებს, ისინი „ტ“-ს ფარმხატვაში ჩამორჩებიან ყველა სხვა ტექსტებს, რადგანაც შე-ტრინარებელია ერთი და იმავე ნიშნით გამოიხატოს „ტ“ ჩსს-ში და სესტადი-ში, თუ არ შეთანხმებით.

4. ზემოთ მოყვანილი მასალებისა და მსჯელობის მიხედ-ვა უნდა დავასკვნათ, რომ ოსურში არსებობს სამი „ტ“:

1) თ—სახელის მრავლობ. სუფიქსად, აწმუნს 2 3. მრავლობითის სუფიქსად და მრავალ ძირისეულ სი-ტყვაში.

2) ტ—მხოლოდ რამდენსამე ძირისეულ სიტყვა-ში (იხ. ზემოთ); ამათ შეიძლება მივუმატოთ კიდევ შემ-დეგი: სტანდარტულ „კრთომა“ (ი ღლ. C. 43.7, ლუკა 1.44, მილპე. ისეტინსკიе этюды I, 112.5,), რატუზებ „გა-

¹⁾ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ რუსული ტ მართლაც ძალიან რამდენდება ოსურ „ტ“-ს თვისი ბგერითი მნიშვნელობით. რუს. ტ შესახებ იხ. ზემოთ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. მევეთრი ხშულნი ქართულში, ტფილ, უნივერსიტეტის მუზე № 2.

ხვრეტა, გაგმირვა“ (Miller, Die Spr. d. Osseten, გვ. 61), ტაფსნაგ „კასრი“ და სტალა, ან „წინწყლი, წერტილი“ (ეს ორი სიტყვა მომაწოდა სტუდენტმა ნ. გ ძასოხოვმა).

3) „ტ“—partic. perf. pass ის, imperf. ის, შემწეობითი ზმნის აწმყოს ფორმებში და რამოდენსამე ძირისეულ სიტყვაში (იხ. ზემოთ).

„ტ“ განსხვავდება თ-საგან მით, რომ აკლია მისი მფულინაობა, ხოლო ტ-საგან მით, რომ აკლია მისი მკვეთრობა. იგი ძლიერ უახლოვდება რუს. ტ-ს.

5. რა მიმართებაში იმყოფება ეს სამი „ტ“ ირანულის შესაფერ ბგერებთან, როგორია მათი წარმოშობა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ **Миллерის** და **Hübschmannის** მიერ დადგენილი შესატყვისობა ირანულის ბგერებთან (იხ. ზემოთ გვ. 22) ძირითადად უნდა შეიცვალოს, სახელდობრ: რაღანაც ტ-ს მქონე სიტყვები ოსურში მხოლოდ რამოდენიმეა, ამიტომ ამ ბგერას ჩვენ ვერ ჩავთვლით ოსური ენის ძირითად ბგერად. მაგრამ რაღანაც ეს ბგერა ოსურში გვხვდება არა მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში, არამედ წმინდა ოსურშიდაც, ამიტომ უნდა არსებულიყო თვით ოსურ „ტ-ში“ იმ უკანასკნელის ტ-დ გარდაქმნის შესაძლებლობა. ასეთ შასაძლებლობას ვხედავთ ჩვენ „ტ“-ს აოსებობაში.

1) ოსური ენის თ ს განვითარებას ვგულისხმობთ მხოლოდ ირანულის ზ-საგან. (შეად. ზემოთ გვ. 22)¹.

2) ირანულის ტ-ს კი ოსურში უნდა მოეცა „ტ“, რომელიც უკვლელად შენახულია განსაზღვრულ შემთხვევებში (იხ. ზემოთ); რამდენსამე სიტყვაში იგი იქცა ტ-დ, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში იქცა თ-დ. იმას უნდა დავუმატოთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ დღესაც ამ რყევის

¹⁾ ამიტომ ჩვენ არ ვიშიარებთ **Миллерის** შეხედულებას, თითქოს მრავლობითის თ წარმოშობილიყოს ირანული ნაცვალსახელის მრავლობ. სუფიქსის—taɪ-საგან: **Die Sprache der. Osseten.** გვ. 42.

თუ ვართ (ნ. გვ. 25), რამდენადაც ეს ჩანს ტექსტებიდან და ცოცხალი გამოთქმის დაკვირვებიდანაც. ასე, რომ მოყვარული „ტ“-ს ცვალებისა თ-დ ან ტ-დ დღესაც ძალაშია.

ამავ ცვალებათა ფიზოლოგიური შესაძლებლობა გამომ-ცვალებას „t“ ბერათა ბუნებისაგან:

- 1) თ-ს ახასიათებს ფშვინვითი გათავება (gehauchter Absatz).
- 2) ტ-ს — სიმთა დაკეტილობა და მაგარი გათავება (fester Absatz).
- 3) ტ“-ს — მაგარი გათავება.

ამავდან ჩანს, თუ რომელი ცვალებაა უფრო შესაძლებე-
ლი ტ-დ (მილლერის), თუ „ტ“-სა ტ-დ (ჩვენი). ამით
გვიპოვთ გრამატიკის დღემდე აუხსნელ ზოგიერთ ოსურ სი-
სის აუმჯოდ, და ოსური „ტ“-ს მიმართება ირანულის შე-
მცირებას — საერთოდ.

თუ ეს აუმჯოდან
მომდინარეობს.

ბენედიქტე ჩიქობავა.

ეს ნაწილაკი ვერეადნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით¹⁾.

- ეს ნაწილაკი ფერედნულში ორი სრულებით განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. ერთს შემთხვევაში იგი წარმოადგენს თანდებულს, ომელიც მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის-გან (resp.-დან) თანდებულს (უფრო ხშირად), ხანდისხან კი-კენ თანდებულს; უკანასკნელს შემთხვევაში იგი გენეტურად უკავშირდება გარე-კახურისა და ინგილოურის-ჟეჟენ თანდებულს, ომელიც თავის მხრით საპრერლო ქართულის -კენ თანდებულის შესატყვისია, ომგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსურადაც.

მაგალით.: I. - ეს ფერედნულში: ნათეს. ბრ. (= -გან, -დან): 1. გამართათ—ჩადუქარიათ (= საჩუქარი) ემას კელისაუეთ; 2. ისპანისაუე ქადაზი მოგვიდა; 3. თოვის ქმა მოდითდა ბიჭებისაუეთ; 4. თავრთბისაუე რაჭთენი (= რამოდენიმე) უახავი მუგვიდეს; 5. გერივაც (= კვლავაც) ქართველობისაუე კედლები ვიღებთ...

II. - ეს—ფერედნ. მიცემ. ბრ. (= -დან). 1. მადიებშა (= ავაზაკებმა) დოკუმენტი თოვი სანგარებისაუე; 2. ერთი ქართველი თბილისაუენათ ჩამოსული; 3. მამწენი (= მაღლობელი) ვარ შიწასაუე თა ასიმანამდი (= ცამდი); 4. ჩაფიქა, ამოიდე ჯიბესაუე უკული; 5. ხეთი საათი რთ დამესაუე გაფათ...

¹⁾ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საკარო სტდომაზე 1924 წ. 8 იანვარს.

**III. - ეს ფერებდნ.: მიც. ბრ. (= კენ): ცხორები გა-
ნებუს ბაჟებმა, რო თებსაც გავარნეთუე...**

**IV. - ეს თანდებული გარე-კახურსა და ონგილო-
სი: ნათეს. ბრ. (= კენ): გარე-კახურში: 1. ბაზრისეუენ
შედარებარ? 2. იმერელი კიდე ამბობს: მე შენუე ვართ; 3. ბახეთი-
სულ ივაჭით? 4. გოგლა საგარეჯოსაც წავიდა; 5. გზა სოფელისაც
მოდის; 6. აწყურისაცენ რო თმი იყო¹...**

**ონგილ.: ამქათუენ წავალ (იხ. მ. ჯანა შვილი, „საინ-
ტერა“, ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 183).**

მეორე შემთხვევაში კი - ეს სპეციფიკური ნაწილა-
კი, რომელიც დაერთვის ზმნებს და იქვს გარევეული სინტაქ-
სული პნიშვნელობა. იგ ნიმუშიც: 1. თა (= ვიღრე) სადიდობა-
ვაშვდლეთ (= ვიომეთ, ვიჩხუბეთ) და დავიწირეთუე მაღა-
ვი 2. მოვნახეთუე² მეთოვები; 3. იმას უბან ის გარები ადარ-
ებულება. 4. სემების ავერითუე და გვრებოთუე თქენ მამულებისაცე; 5.
წამოხტევს ჯერნები, წამოუდებითუე, დავაკარეთუე, თრი მოვბა-
ლი; 6. იმათაც იცოდეს, რომ იმ დამით დევეცემითუე; 8. ტო-
რმ ქადაგა წევდოუე. ზოგის, ტუმარა; 8. ჩონ, ქროვედება ცო-
რმ ცენეს თა ჯარი მექსიროე სიბაქსაცე; 9. ქურთების რო დურ-
ნებავასე (= დურბინით დაწყოთ ყურება), სითუდის მეთო-
ვაშვნახვაცე, ეთქოფე...

სულიქსად ამ ნაწილაკის ჩათვლა ძნელია; უნდა მოვილოთ
პნიშვნელობაში რომ: I. ცოცხალ კილო თქმათა მთელს რიგ-
ი საგალ. ქართლურსა, გურულსა და თუშ-თუშავ-სევსურულ-
სა და სამწერლო ენაში შესატყვისს შემთხვევაში იგი არ იხ-
ისება; II. თანაბარ პირობებში თვით ფერებდნულისათვის
მის ჩარება სავალდებულო არ არის; მაგალით:

¹) გარე-კახურის მაგალითები მომყავს ჩემ მიერ 1923 წლის ზაფხულს გა-
ნებული ჩანაწერის ჩანაწერის ჩანაწერის გა-
ნებული ჩანაწერის გა-
ნებული ჩანაწერის გა-

²) მოვნახეთუე... ვინი აქ უფრო ბილაბიალია, ვინემ დენტო-ლაბიალი, მრა-
ვიალის თავიდან ასაცილებლად ორივე სარის ბგერა ფერებდნულის მა-
რავად ვინით იქნება გადმოცემული; მათ ვანსხვავებაზე ფერებდ ფონეტიკური
მიმართ მეცნიერდებით.

1. ცხენებია გამოაუყანეთ (ჩვენ), სოფლის ქუჩებზე გაშესხა-
მეთა; 2. მუშები შააქუჩე და დააუენებე მეშათბაზე; 3. ანგარიში
მაჟავა და დავაუენე მეშათბაზეთ; 4. ერთ რეალსაც (= აბაზსაც)
ნე მისცემთ და გარეპენითუეთ; 5. შემთუდებით, დავიჭირეთუე
ადაები; 6. ცხენების შოუწერით, გარბინეთუე; 7. ცხენმა თავი
აიღის და გააძირისუე; 8. ემებმა იურიანენე; 9. ვერმინ ვერ გაია-
რისე იქებია; 10. ფული დააქუჩიან და მასციან...

ორივე ზემოხსენებული გარემოება განსაკუთრებით ააღვი-
ლებს ამ ნაწილაკის შემცველი კომპლექსის დაშლას და მისი
ამ კომპლექსიდან გამოცალკევებას; ამიტომაც ცნობიერებაში
იგი განვითარება, როგორც საკმიოდ თავისთავადი ნაწილაკი,
რომელიც ზმნას ორგანიულად კი არ შესისხლხორცებია, არა-
მედ მექანიკურად ეკვრის, და რომელიც ზმნის აგებულების
აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს.

ამასთანავე მის თავისთავადობას ისიც უწყობს ხელს, რომ
ეს ნაწილაკი ფერედნულში მთელს მარცვალს შეადგენს; სა-
კმარისია შევადაროთ ფერედნულის მაგალითები ინგილოუ-
რისას, სადაც -უ, საფიქრებელია, მახვილის ზეგავლენით, შე-
ჩვეცილია და უარის სახითლაა წარმოდგენილი, რომ ნათელი
გახდეს, თუ რა როლს თამაშობს თავისთავადობის ელფერის
შენარჩუნებაში ის გარემოება, რომ ფერედნულში იგი მთე-
ლი მარცვალის სახით არის წარმოდგენილი.

მაგალ.: ინგილოურიდან: 1. აი რას გირჩევშ, კადემ და-
ოწეთ მთნადირემ (ქ. ჯანაშვილი, op. cit. გვ. 161);
2. ზუზუებით ზეს მოგიტანე (ibid., 141); 3. რადღა ჰუმ ექნასე!
გაჭირებიაუ თავ, პატარზალ მიუცია (ibid., გვ. 147).

ფერედნულიდან: 1. რო მიხოდთ საქართველოჩი, უნდა
გომთორთოთუე და მისცეთუე ცემ ჩონ კაცებს; 2. თო-სამა ცხენი
სიბაქელთი წევევანაუე ქურთებს...

ფერედნულის გარდა -უ ნაწილაკი მოეპოვება: დასავ-
ლურ კილო-თქმათაგან: რაჭულს, ლეჩესულსა და იმერულს
-უს სახით (ქვემო იმერულში -კეს სახით უფრო!); აღმოსავ-

მაგ.: ვუთხარიყ, я сказал им; ვუთხარით — мы сказали ему; ვუთხარითу — мы сказали им.¹

ასეთსავე განმარტებას აძლევდა პროფ. ა. შანიძე² ამ ნაწილაკს საუნივერსიტეტო ლექციებზე.

სხვა შეხედულებათაგან შემდეგს აღვნიშნავთ: ნაწილაკების მიმოხილვისას, აკად. მარი ბროსეს -ყეც აქვს მოხსენებული; იგი მას მიაჩნია -კი ნაწილაკის ვულგარ ფორმად; ახალს აღთქმაში იგი სრულებით არ იჩხარებათ, ხოლო ძველში მისი მაგალითები მოიპოვება თუ არა, არ ვიციო; მისთვის ცნობილი ყოფილა მხოლოდ ანტონ კათალიკოზის გრამატიკაში ხმარებული ორიოდე შემთხვევა და აგრეთვე გოდ. ფირალოვის თვით-მასწავლებლიდან ერთი შემთხვევა (ამაზე იხ. ბოლოს); ორივედან სათანადო ფრაზებიც აქვს მოყვანილი³.

დაახლოვებით, ასეთივეა პროფ. დ. ჩუბინოვის განმარტება, რომელსაც იგი თავის ლექსიკონში იძლევა: „ყე, ზ. ზ. დიალ, რასაკვირველია, და, კონечно (იხ. ქართ.-რუსული ლექსიკონი, გვ. 1374).

ორივე განმარტება შეუფერებელია.

„ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელნი ბ. იუსტ. აბულაძე და ბ. დავ. კარი ჭავილი ტექსტისთვის დართულს ლექსიკონში შემდეგნაირად განმარტავენ ამ ნაწილაკს³. ბ. იუსტ. აბულაძე წერს: „ყე არის ნაწილაკი, რომელიც იხმარება ზმნის ფორმის შემდეგ მიცემითი ბრუნვის არსის ნაცვალთა —

¹⁾ იხ. „სიტუაციების კონკრეტულ და რაკულ თქმათა „Материалы по яфетическому языкоznанию“, VI. СПБ. 1912, გვ. 54.

²⁾ კი, vulg. ყე, n'est pas employé une seule fois dans le N. T., je ne sais s'il y en a des exemples dans la Bible; pour ყე, il me paroît plus vulgaire, et je n'en ai vu des exemples que dans Phiralof et Antoni. (იხ. L'Art Libéral ou Grammaire Géorgienne, p. 278, Paris, 1834, ლითოგრ. გამოც.—მაგალითები -ყე ნაწილაკის ხმარებისა იქვე, გვ. 279).

³⁾ მათთვის ეს საჭირო იყო, ვინაიდან „ვეფხის-ტყაოსნის“ ორჯერ გვხვდება ამ ნაწილაკის ხმარება; ეს ადგილები იხ. ბოლოს.

„თქვენ+ „მათ“-ის ნაცვლად, ასე რომ ყე ამ ორის(?) პიროვნებით არსის ნაცვლის ნამდვილი ექვივალენტია. „მონა-
რიუ მოართმიდეს“ მონანი მათ მოართმევდენ ისრებს; წა-
მოლუე პოგიტანდეს (თქვენ) — ისინი წამალს მოგიტანდნენ. —
უ ჩატრობენ ზმის ისეთ ფორმაში, რომელიც მოითხოვს
ასეს ნაცვალთა „თქვენ“, „მათ“ მიცემითი ბრუნვეს მნი-
შვნელით. მოგწერყე — თქვენ (გწერ-მე!). (იხ. „ვეფხის-
ტუასანი“, ი. აბულაძის რედაქტორობით, ლექსიკონი,
ტარისი, 1914 გვ. 223).

ბ. დ. კარიჭაშვილი წერს: „ეს სიტყვა (ე. ი -ყე ბ. ჩ.),
ამცველაც ცალკე მნიშვნელობა არა აქვს, იხმარება ზმიასთან,
ამცველაც ქვემდებარე მრავლობითს რიცხვშია“ (იხ. „ვეფხის-
ტუასანი“, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, ტფი-
ლი 1920, გვ. 315).

ბ. ი. აბულაძე თუმცა -ყე ნაწილაკის ფუნქციის ნა-
წილს აღნიშნავს (მიგვითითებს მრავ. რიცხ. მიცემ. ბრუნ-
ვაში დასმულ არსის ნაცვალზე), მაგრამ სავსებით მართებუ-
ლად, ბ. დ. კარიჭაშვილის განმარტება კი სრულიად შეუ-
ფრიენდელია: არც კილოებში, საღაც ეს ნაწილაკი ამ ეამაღ
ამჟარება, არც დამწერლობის ძეგლებში (მე XI საუკუნიდან
მოყოლებული) ეს ნაწილაკი ქვემდებარის მრავლობითობას
ასახულ არ აღნიშნავს¹.

ამ ნაწილაკის ის განმარტება, რომელსაც ბ. ვუკ. ბერი-
ძე იძლევა, არსებითად სავსებით სწორად უნდა იქნეს მიჩ-
ნეული: ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწილაკს რაჭულში,
გარეკანურსა და ქიზიყურში, აგრეთვე ინგილოურში (ვებ-
ურები ბ. ბ. ჯანაშვილის მასალებს. იხ. ზემოხსენებული
ნაშრომი).

¹⁾ როგორც პროფ. ა. შანიძემ გადმომცა „Melanges Charles de Har-
rissé-ში ყოფილა მოთავსებული ცნობილი რომანისტის Hugo Schuchardtის
შემოხვევა სათაურით „Georgische-ყე“ (pp. 278—280); სამწუხაროდ, ტფილისში იგი
არ აღმოჩენდა, და ამ საკითხზე მუშაობისას მით ვერ ვისარგვებლეთ.

ფერედნულისათვისაც ასეთი გაგება ძირითადად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ აქ კანონზომიერ ხმარებასთან ერთად შეუსაბამოსაც ვხვდებით.

სათანადო მასალების კლასიფიკაციას ჩვენ მართებულად ხმარების შემთხვევებიდან ვიწყებთ, ე. ი. ისეთებიდან, სადაც ეს ნაწილაკი მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ობექტზე.

მოვლენათა ანალიზისას ჩვენ შეგნებულად გაურბით „და-მატება“-ტერმინის ხმარებას: ზმის სპეციფიკურ თვისებათა გამო ართულში დამატება არც ასე აღვილი გამოსაცნობია და საკაონდ ძნელია მისი გარჩევა ქვემდებარისაგან. მოვლენა-ში გარკვევისას ისეთ ტერმინზე დამყარება, რომელიც ad hoc თვით გამოსარკვევია, ისედაც რთულ საკითხს მხოლოდ ბუნ-დოვანებას შესძენდა.

ამიტომ მეთოდოლოგიურად მიზან შეწონილი და აუცილებე-ლი არის მოვლენის კვალიფიკაციამდი ისეთ რასმე დავეძყაროთ, რაც უფრო გარკვეული სახის მქონეა და ჩამოყალიბებული; ასეთ დასაყრდენიდ გვაქვს გამოყენებული ტერმინები: ობექ-ტი, სუბექტი აზრის თვალსაზრისით; მათ ვუწოდებთ: ლოლიკურ ობექტსა და ლოლიკურ სუბექტს (სიმოკლისა-თვის პირველს იღვნიშნავთ LO, მეორეს: LS).

ამას ორი უხერხულობა სდევს. ერთი: ცნება ობექტისა ფორმალ ლოლიკას არ გააჩნია; გნოსეოლოგიაში კი მით აღი-ნიშნება — აზრის საგანი და არა ის ობექტი, რომლისაკენაც მიმართულია მოქმედება; და მათც, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩ-ნია ვიხმაროთ LSის გვერდით LOი. ვგულისხმობთ: პირველში: „მოქმედების შესაძლებლობათა და ყოფის მოდიფიკაციათა ერთობლივობას“, ხოლო მეორეში: ამ „სუბექტის მოქმედე-ბის კორელაცის, რისკენაც ეს მოქმედება მიმართება, სუბექ-ტის აქტივობის საბოლოო მიზანს“.

ზოგს შემთხვევაში აზრის თვალსაზრისითაც კი ძნელია იმის გარკვევა, რა არის Si და რა არის O (მაგალითად,

ფერედნულისათვისაც ასეთი გაგება ძირითადად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ აქ კანონზომიერ ხმარებასთან ერთად შეუსაბამოსაც ვხვდებით.

სათანადო მასალების კლისიფიკაციას ჩვენ მართებულიად ხმარების შემთხვევებიდან ვიწყებთ, ე. ი. ისეთებიდან, საღაცეს ნაწილაკი მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ობექტზე.

მოვლენათა ანალიზისას ჩვენ შეგნებულიად გაუტბით „დამატება“-ტერმინის ხმარებას: ზმნის სპეციფიკურ თვისებათა გამო ართულში დამატება არც ასე ადვილი გამოსაცნობია და საკათად ძნელია მისი გარჩევა ქვემდებარისაგან. მოვლენაზი გარკვევისას ისეთ ტერმინზე დამყარება, რომელიც ad hoc თვით გამოსარკვევია, ისედაც რთულ საკითხს მხოლოდ ბუნდოვანებას შესძენდა.

ამიტომ მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილი და აუცილებელი არის მოვლენის კვალიფიკაციამდი ისეთ რასმე დავემყაროთ, რაც უფრო გარკვეული სახის მქონეა და ჩამოყალიბებული; ასეთ დასაყრდენად გვაქვს გამოყენებული ტერმინები: ობექტი, სუბექტი აზრის თვალსაზრისით; მათ ვუწოდებთ: ლოღიკურ ობექტსა და ლოღიკურ სუბექტს (სიმოკლისა-თვის პირველს აღვნიშნავთ LO, მეორეს: LS).

ამას ორი უხერხულობა სდევს. ერთი: ცნება ობექტისა ფორმალ ლოღიკას არ გააჩნია; გნოსეოლოგიაში კი მით აღინიშნება — აზრის საგანი და არა ის ობექტი, რომლისაკენაც მიმართულია მოქმედება; და მაინც, ჩვენ შესაძლებლიად მიგვაჩნია ვიხმაროთ LS-ის გვერდით LO-ი. ვგულისხმობთ: პირველში: „მოქმედების შესაძლებლობათა და ყოფის მოდიფიკაციათა ერთობლივობას“, ხოლო მეორეში: ამ „სუბექტის მოქმედების კორელაცის, რისკენაც ეს მოქმედება მიმართება, სუბექტის აქტივობის საბოლოო მიზანს“.

ზოგს შემთხვევაში აზრის თვალსაზრისითაც კი ძნელია იმის გარკვევა, რა არის Si და რა არის Oi (მაგალითად,

ასეთ წინადადებაში: ექიმს ავადმიუმობა შეეჭარა; მედას ტურა შე-
მოუწოდა...): ამაშია მეორე უხერხულობა. იქ ენობრივი კონ-
სტრუქტურით განსაზღვრულ წარმოდგენათა ურთიერთობა აზ-
ნოს ფიქოლოგიას იმდენად თავისებურ ხასიათს ძლიერს, რომ
ჩატარებული იყო, ამას მიუწოდება.

მაგრამ შემთხვევათა, აბსოლუტურ უმრავლესობაში აზრის
კონტაქტით შეუდარებლად მკაფიო და მყარია, ვინემ მისი
კონტაქტი გამოხატულება; ეს კი გამოწვეულია იმით, რომ აზ-
ნოს დასაყრდენი რეალობაა, სინამდვილე, ენისა-კი
კონტაქტი.—წარმოდგენები.

ამ გვარად, ჩვენი გამოსავალი იქნება Sი და Oი აზრის
კონტაქტისათ, რომელსაც აღვნიშნავთ LSისა და LOის
კონტაქტით. (კვემდებარესა და დამატებს კი ავრეთვე სი-
სისტემურ კველგან აღვნიშნავთ: GrS, GrO.)

ამ კონტაქტისათ: I. -**ცე** ნაწილაკი ფერედნულში აღ-
ვნიშნავთ LOს, რომელიც მრავლობითი რიცხვის სახელო-
ბრივი არის გადმოცემული. მაგალ.: 1. იმაშინ
მდგრადი და წამოვედრით დარანს (ავიყვანეთყე—ვინ?
ავალისას ჩონც დაჭქუჩით და ესენი კი გავრე-
ვინ? ესენი). 2. ქავაუვანეთყე ბიჭება... 4.
წერილები (=მოხუცები) აჭაუვანეთყე და წაგა-
ნებან... 5. ორი ესები და ორი ჩონ გავ-
6. შენა ცხენები შაგმაზე და მაიუვაჟე... 7.
ადავისა, თხევთმეტნა იუნეს... 8. მე-
გავაზადეთყე...

ამ კონტაქტში აღნიშნავს LOს, რო-
მელი მომატების მიცემითი ბრუნვით არის გად-
ანის აზრისათვის: 1. კუთხით მაღალ გამამხანაგდეს; ამთაღე

კუთხით, კუთხით გამოსინ. კუთხით აღდ ნ. მარ-
ტინის ტერმინი XIX, XX...). პროფ. ა. კირიბაძის
კუთხით გამოსინ, კუთხით, ნ. 85; მარტინიძე, რო-

ერთა ნაშავ (=კარგი) წინდა, ვაძატივებე (= ვაჩუქე), მივევე (მივეუე - ვის? მათ). 2. დოურაბებე ფქილის პატარებებს (დოურეუე - ვის? პატრონებს). 3. თქენებ მამნური (= მაღლობელი) ეპროც - ხალათს მოგრემებე... 4. მეთოვებებს მიგაბარებე... 5. ანგარიშა მიმებე (მუშებს), რო ბარები აბეთონდა... 6. ცაბა, მოუტაებე ერთი ნაერი ხილით... 7. ესეები, ხამთაღენ ისფაანსა თუ არა, რაჭოენა ფული გამართიებე... 8. შეჩ უნდა შართა შისტებე, რო გულათ დაზიენ... 9. იქით თოვი გაუსწორაებე: თუ არ გა-
დეთ დაგრემოება... 10. ამადო რაჭოენა ფული - ჩოუგარაებე
ემები... 11. ბადრა ერები (= ქალიშვილები) მასრაუე ეაზირ -
ვთზარებს. . 12. რაც რო შავბავლებუე: გარი გაადეთო, არ გუ-
ლებდეს... 13. ჩონც ექათ გამოდმასაებე დავაუკეთებე (მათ)... 14.
ჩონც ის ცხოვები და ბაცება ვაძატივეთებე... 15. რო მიხოდო
საქართველოჩი, უნდა გომიარეთოთთებე და მასტეთებე ცემ ჩონ გაცებს...
16. დავანახეთ, რო ანქით თოვები დაუკარესებე (მათ)... 17. წამა-
ჯევნახებე მჟაფირებებსაც (= ყაჩალებს), ვერ მიღეომიანებე... და
სხვა მრავალი.

ზემოაღნიშნულ ორ კატეგორიას¹ გარდა ფერედინულ-
ში შემთხვევათი საქმაო რიცხვი გვაქვს, სადაც უე ნაწილაკს
თავისი ძარითადი მნიშვნელობა იღარ გააჩნია: აზრის მიხედ-
ვით იგი იღნიშნავს „ხოლმე“-ს; ასეთია, მაგალითად:
1. იმითი ჭასალები (= დიკები) თოვლის ქეშ მაჟიებებისებე (= მოვ-
ყვება ხოლმე); 2. გიან ავდექიუე (= ვდგებოდი ხოლმე); 3. ჩონ
ვატეათებე (ვიტყვით ხოლმე); 4. დამათ მიხისხისებისებე (= მიხი-
სხისებს ხოლმე)...

-უ ნაწილაკის მნიშვნელობის დაბნელების მომასწავე-
ბელ შემთხვევათი კატეგორიაში უფრო საგულისხმოა მეორე

¹⁾ - უ ნაწილაკის მნიშვნელობის განწილვა დავიწყეთ ამ ორი კატეგო-
რიიდან არა იმიტომ, რომ ისტორიულადაც ასეთი გამოყენება იყოს უწინა-
რები. არამედ მხოლოდ სისტემატიურობისათვის; ისტორიულად, პირი-
ქით, საფიქრებელია, იგი პირველად მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით
გადმოცემულ LS_n აღნიშნავდა (იხ. ბოლოს-დამწერლობის ძეგლებიდან მაგალი-
ოცვის საბელობითი ბრუნვით აღნიშნულ LO_n, და, დასასრულ, მრავლობითი

ტერიტო პირველი: 1. იქ (ს)მარსევთში თერიაქი (=ოპიუმი) მთაზიდაუე; 2. იქ დიჭას სხე დავდივიუე; 3. (ცხენმა) თავი ა დას და გაიქცისე; 4. ვერმინ ვერ გაიარისე იქებჩი; 5. სამჯედ ავდგიუე, რომ წავიდე, არ გამიშისე... 6. ემებმა იფიციანე, რო ებეთ გაფი (=ამბავი) ჩონ არ გუბუბიათ... 7. იმებმაც თქაანებ რო... 8. იმ დღეს თაჯერმა (=ვაკარმა) რო ჰარ (-დღიური გასამრჯელო) მისცისე, დღეს თრი იქთენი მისცა. 9. ცოტ-ცოტა ქადაზებჩი ეკარა, ჩავიუარიუე პირჩი, წელი მუაღევნიუე და ცოტა მომდაშე იუგის; 10. რაძა რო დედაქაცი იუვისე, მახნეციანე და წავიდიანე; 11. ჯერზე ათასი თოფის კმა მოიდისე; 12. ძალით გაგზავნისე სამუშაოთ (ქმარი), ...სადილზე შამოიდისე და უთხრისე უეანის უთრისა: დღეს საქმე არ ჩამივარდათ; ზოგს დღეს რო ემუშავნისე, სადომია: ემ უეანის (=ხელმწიფის) ეთრმა ჰქითხასე... ემამ უამბისე... რო შაიტებისე, მაიპარისე რო... 13. ესებბი მოიდიანე პირველად ჯაუჭაუს, დამით დადგიანე, დიდობით ჩამოიდიანე სიბაქს, მეორე დღეს გადგიდიანე ჩუღრუთს, ათ ვერსზე სამი სადილი და ვახშამი ქამიანე და წავიდიანე...
II. პერმანსივი პრეტერიტი მეორე: ეს უეანის უთრი ასწავლიდისე, რო...

თუ რით აიხსნება უპირატესად ამ ფორმებთან -უ ნაწილაკის უმართებულოდ ხმარება, ძნელი სათქმელია; შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: პერმანსივებში რელატიურ ზმებს სავსებით ეგუება დამატება სახელობითსა თუ მიცემითში¹; რაკი -უ ნაწილაკი ფერედულულში არა მარტო მიცემითი ბრუნვით გაღმოცემულ LOზე მიგვითითებს, არამედ სახელობითის საშვალებითაც გადმოცემულზე, ეს უსათუოდ ხელს შეუწყობდა, რომ პერმანსივთან -უ ნაწილაკი ხშირად ხმარებულიყო ხშირად ხმარებული მართებული შემთხვევების მიხედვით ხმარების წესის განზოგადება, ე. ი. სხვა შემთხვევებისთვის გამოყენება

¹⁾ ისევე, როგორც შესატყვისს ნამყო სრულსა ან უსრულში; თუ ზონა თვითი აგებულებით მოითხოვს ობექტს, თავისთვად ცხადია, არც რიცხვს, არც სარეს შესი შეცვლა არ ძალუდს.

თუმ ანალიგიურ წარმოებად არის ცნობილი. ენობრივ ფრანგითა მრავალგვარობის ერთგვარობამდი და- გვანაში ანალიგიის როლი განსაკუთრებულია. ამ შემთხვევაშიაც მისი როლი შეუძლებელია უგულებელ- უფრო იქნეს. მართლაც, პერმანენტი ჩვენ მოგვეპოება ამ ნაწილაკის მართებული და ხმარების შემთხვევები. მაგ.: 1. წყალის, მიჭხედისეუ ამაჯებს (= მუშებს)... 2. უთხრიანებე (იმათ) ფრა კა იუაბუდეთთ... 3. ადები (= ჯოხები) ჩოუეარიანებე იმ კა- ფის... 4. რომელმაც რო ნამა (= კარგად) ვერ აჭამასებ (იმათ), წყალის, შავჩივალის იმ თრი უფროსის, წიმათ გამოგზავნიანებე ხე- ლი ცხენიანი, გადასდევინიანებე ას თუმანი, დაბლა, მეტი... 5. მა- შევები დააკირავიანებე, ბეჭი ჩააგდიანებე და მისციან... 6. კარები უგვისეუ გამოუშებიანებე, გაუიდიანებე¹.

ამგვარად, -**ცე ნაწილაკი** ფერედნულში ცოცხალია; უმე- ტეს შემთხვევაში გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობის მა- რტებელია; მიგვითითებს LOზე მრავლობითი რიცხვის სახე- ლითისა ან მიცემითში²; მაგრამ მისი ხმარების აღრევა უკვი- დაწყებულა და მნიშვნელობით იგი ჩამოქვეიოებული „ხოლ-

¹) საინტერესოა, რომ მთიულურშიც -**ცე ნაწილაკის** ნაშთები -**კეს** სახით მომავალ ბშირად შენახულა პერმანივ პრეტერიტ პირელთან. ჩემ მიერ შეკრე- ბილ მასალებში აღმოჩნდა სულ 11 შემთხვევა -**კეს** ხმარებისა. მათში მხოლოდ ერთს შემთხვევაში მოეპოვება მას გამართლება, დანარჩენებში იგი „ხოლ მე“-ს მოშენელობის მატარებელილა. ამ ათიდან მას ხუთს შემთხვევაში, ე. ი. ცველა შემთხვევათა თითქმის 50%-ში, პერმანივთან ვხვდებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ პერმანივი თვისი შინაურისით „ხოლ მე“-ს აზრსაც იტევს (ააშენის=აშენებ- და ბალმე, მიუტანის=მიუტანდა ხოლმე) ცხადი ზდება, რომ =ყერცე საკუთრით მიუღებულია ასეთ შემთხვევებში ყოველგვარ სინტაქსურ ფუნქციას.

²) საჭიროა აღინიშნოს, რომ ხშირად მრავლობითად აღიარებულია „კრე- ბილ“ სტრუქტები: აქ აზრის მიხედვით, და არა გრამატიკულად, არის გამართ- ლებული -**ცეს** ხმარება; მაგალ.: 1. წაველ თავრობასთან, წევეშულ- ლებულ, რო თუ გინდოდაყე.. 2. აძლივაყე (ხალხს) ერთი გირ- განქა. ფშატი თრი ლირაზე... 3. მაჲხედნეს თავის ქულ ფათ- ხა (=თვალმა, შინაურებმა), რო მამა ცოცხალი მოუვიდაყე (აქ მრავ- ლობითად გაგებულ სიტყვას შემასმენელიც მრავლობითში აქვს: მაჭხედნეს ქულ- ლობა); 4. მუშა შეაქუჩა და დააყენაყე ფეის თხრაზე...

მე-მდი: ეს უკანასკნელი მისი მნიშვნელობა პერმანენტურია სრულებით იჩქმალება, ვინაიდან „ხოლმე“-ს მნიშვნელობა თან ახლავს უკვე პერმანენტს.

- უ ნაწილაკი LSის ოღმნიშვნელის როლში. ზემოთ -უს ნიმუშები რომ მოგვყავდა, შეკნებულად ავტორეთ გვერდი მაგალითების ერთს კატეგორიას; მათი ნიმუშებია:

1. ხალხა გავირდა, რო ცემათ როგორ ჩამოჰურებავე ცხორით, გზაჩი ჩადიებს რო არ წოურთოშეუფ; 2. ჩონებს თრ-საში ტეივა უკრავე, ძალა მეეტანაუე იმათ ჩადრებთან (= კარვებთან), როი ჩონან ცხორი წევრთუე. თერთმეტი ბახტარი დექტირაუე გზაჩი და მშეაუგანაუე; 4. გემეავადაუე ზირტებალის ეარა-უურუთი, უედედაუე, ისი დევდვაუე თავზე, თავი რო შეეპრაუე, იმაშინ თოდები ემეხი-და, ჭუშე (= გონზე) მოსულვაიავ; 4. დაშით ბიჭებს არა ჭქონიერე ზური, ცემეაღოუე ხუთი ლიტრა ფქილი, წევდოუე წეართზე სუფრამო და მეეზილაუე, მეეტანაუე, ცემნოუე (ცეცხლი), ჩასან-გება („ოთხი ქვა“)¹⁾, დევნედაუე, ფათორი (= კმიადი) დემკრაუე, ის ეჭიმაუე...

სანიმუშოდ ესეც კმარა. LOი მრავლობითი რიცხვის სახელობითსა თუ მიცემითს ბრუნვაში ამართლებდა - უს ხმარებას იმ შემთხვევაში, სადაც იგი მართებულად იყო ნახმარი. სიდ არის აქ მოყვანილ მაგალითებში ეს LOი მრავლობითი რიცხვისა? „ბიჭებს არა ჭქონიერე ზური = ბიჭებს არა პქონლათ პური; აქ, მაგალითად, LOი „პური“ მხოლობითს რიცხვშია, მრავლობითს რიცხვში კი LSია: არ პქონლათ პური - ვის? — ბიჭებს. „ცემეაღოუე ხუთი ლიტრა ფქილი, წევდოუე წეართზე სუფრამო და მეეზილაუე, მეეტანაუე...“ = ამოელოთ (ბიჭებს) ხუთი ლიტრა ფქილი, წაელოთ წყალზე, მოეზილათ, მოეტანათ... აქ ყველგან LOი მხოლობითი რიცხვშია, LSი კი-მრავლობითში: ვის ექნა ეს? — ბიჭებს მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა; ზოგიერთებს კიდევ მოვიყვანთ ქვემოთ.

1) პურის გამოსაცხობად იხმარება.

ორში ერთი: ან - უ ნაწილაკის ხმარება აქ უმართებულია და ეს ნაწილაკი მხოლოდ გარკვეული სახის ლოლიკურ ობჟექტზე მიგვითითებს, ან იგი მართებულია და მაშინ უ ნაწილაკი ლოლიკური ობჟექტის გარდა ლოლიკური სუბჟექტის გარკვეული სახეების აღსანიშნავადაც იხმარება.

ამ ნაწილაკის ხმარება აქ უმართებული არ არის; იმას კადყოფს დამწერლობის ძეგლებში შენახული - უ ნაწილაკის ხმარებას შემთხვევები: იქ თითქმის მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ვხვდებით მის ხმარებას; მაგალითებში, როგორიცაა, ჭეშუე (მათ), ჭირვაშუე (მათ), ებუღებაშუე (მათ), არა (= აძლევ მათ), ედვაუე, ექმნაუე და სხვ.¹, ეს ნაწილაკი მიგვითითებს ლოლიკურ სუბჟექტზე, რომელიც მრავლობრივი იცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული.

ეს გვათიქრებინებს, რომ ფერედინულის ზემოაღნიშნულია და მსგავსი მაგალითებში - უ მართებულად არის ხვარენული; მაშასადამე ეს ნაწილაკი იხმარება ლოლიკური სუბჟექტის აღსანიშნავადაც, როცა იგი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული. ეს კი ნიშნავს: მიცემითი ბრუნვით გადმოცემული ლოლიკური სუბჟექტი ენობრივად (resp. გრამატიკულად) სუბჟექტი კი არ არის, არამედ ობჟექტი² ანუ: L0ი და LSი ზემოაღნიშნულს შემთხვევაში ენის თვალსაზრისით ურთიერთს ეთანაბრება, თანაბრად განთასდება. ეს დებულება ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიაც, როცა L0ი თუ LSი გადმოცემულია არა მრავლობითი, არამედ მხოლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით: სინტაქსურიკუნსტრუქცია არ იცვლება რიცხვების მიხედვით.

¹⁾ ესა და მსგავსი მაგალითები იხ. ბოლოს. — ინგილისურშიდაც, ვემყარებით პ. პ. ჯანაშეილის დასახელებულ ნაშრომს. — LSის აღსანიშნავად - უ ნაწილიკის მარება გაცილებით უფრო ხშირია, ვინემ L0ის აღსანიშნავად.

²⁾ უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი განთასებულია ისევე, როგორც ლოდიკური ტაბექტის აღმნიშვნელი სიტყვა.

შემდეგს მაგალითებში ერთსა და იმავე ზმნასთან გვაქვს ეს ნიშილაკი: ერთს შემთხვევაში იგი LOით არის გამოწვეული, მეორეში LSით; ორივე მრავლობითი რიცხვის მაცემითი ბრუნვით არის გადმოცემული.

LO.

1. მე უთხარუ ამხანაგებს.
უთხარყე—ვის? მათ (ამ-
ხანაგებს) = LO.

2. იმათ დოუწერავე, რო ნე
ადონებენვე.
დოუწერავე—ვის?
მათ = LO.

3. ჭართველებმა ეს ფული
არ მისცესებ ჩან გაბ-
ზავნილებს.
მისცესე—ვის? მათ (გა-
ზავნილებს) = LO.

4. ჩონც პირობა გოუბზავ-
ნეთებ.
გოუბზავნეთე—ვის?
მათ = LO.

5. ერთი ბატქანიც დოუპ-
ლავე (სტუმრებს).
დოუპლავე—ვის? მათ
(სტუმრებს) = LO.

6. წემათ საუზმე აჭამავე.
აჭამავე—ვის? „წე-
მათ“ = LO.

LS.

1. გაშიგიათ სხილ ხადღებ-
სავე, რო უთქომევ.
უთქომე—ვის? მათ
(ხალლებს) = LS.

2. თაღიაფანთ დეეწერავე,
რო დღესვე დომოცდაათი
უზადი წავიდეს სოფელსათი.
დეეწერავე—ვის?
იმათ = LS.

3. ცხენიანი და მეთოვეც
მემცავ (ფერდნელთ).
მეეცავე—ვის? მათ (ფე-
რედნელთ) = LS.

4. კაციც ბეჭებზავნაუე მარ-
ტეფოჩი (ქურთებს).
გემეეგზავნაუე—ვის? მათ
(ქურთებს) = LS.

5. ჩონებსაც ერთი იმათი
მემბლავე.
მეეკლავე—ვის? მათ
(ჩონებს) = LS.

6. (ბიჭებს) ფათარი ეჭამავ
ეჭამავე—ვის? მათ
(ბიჭებს) = LS.

7. ქართველების ფული გა-
მოერთმისეულ.

გამოერთმისყელ ვის?
მათ (ქართველებს) = LO.

8. ურციავი არ უგავითებ
(მეოთხეებს).
უკავითყე—ვის? მათ (მე-
ოთხეებს) = LO.

7. ჩემთა ბეჭეროლე ბახ-
ტიარების ათასი თუმანი.
გემეროლე—ვის? მათ
(ბახტიარებს) = LS.

8. ქართველების... ვაჟა-ცობა
უძნიაყე.
უქნიაყე—ვის? მათ (ქარ-
თველებს) = LS.

აქ გოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ ყოველ
რეალური „იმათ“ = სიტყვა აზრის თვალსაზრისით პოლარია:
რეალური იგი რეალ ობექტის. აღნიშნავს, რეალი სუბექტის
მიზნების შემწყნარებელია, მეორეგან კი თვით ამ მოქმედე-
ბის წყრის, თუ შეიძლება ითქვას, causa efficiensია, ენობრი-
ლი კა იგი თანაბრად არის განთვასებული ცნობიერების მიერ,
თანაბრად თანაბრად ობექტია: - ყე ნაწილაკის განუჩევლად
უკავითხვევაში ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.
ამის და მისი აღმნიშვნელი სიმბოლოს, მეტყველე-
ბის განმარტებით შორს მიღის უკანასკ-
რის მიმართ: ამ კა ა უფასოს (ჩონ—მათ) = LOი
— კა უმარტებელი ამაღებით, კორელატ ფრაზაში
— კა უმარტებელი უკავითხვე—ვის? მათ (ქართ-
ველების უკავითხველი, მოუქცეულად იმისა,
რომ მიმართ მისად იმარტებით, რომ იგი
უკავითხვები: „უქნია“ - ზონის
კა უკავითხვების სუბექტობაზე მიგვითი-
ონ, მა უკავითხვე—უკავითხვე: „უქნია“ - ზონის
კა უკავითხვების უკავითხვეს კამინიცხვას, ფორ-
მა კა უკავითხვების!

LS-ის ერთი პილოტის საჭირო განელებულია ზო-
გობით, ამ მიზან საჭირო სისტემის შემთხვევაში; მაგ.:
1. აუქტონი შე მოვალეობა შექ აუქ წაგავანენო (გარე-კახუ-

რიდან) ან 2. უნდა მევეკალიუე ავაზაკების (იქიდანვე); პირველს მაგალითში LSი არის „მათ“: მივყვანდიყე—ვის? მათ; LOი—მე; მეორეში LSი არის „ავაზაკებს“: მევეკალიყე—ვის? ავაზაკებს; ვინ?—მე = LOი. მაგრამ ორსავე შემთხვევაში, განსაკუთრებით მეორეში, LSის სუბდექტობა, აქტივობა მკრთალია: ცხადია, ეს გამოწვეულია სათანადო ზმნის თავისებური აგებულებით: მისი საშვალებით ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს LSი თვითონ კი არ არის აქტიური, არამედ მას განეკუთვნება მოქმედება, „უკავშირდება თითქოს გარედან“. LSის ასეთი დასუსტება აზრის მხრით უსათუოდ ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი სუბდექტის გრამატიკული აბდექტოდ გაგება, გაადვილებულიყო.

- უ ნაწილი კი პრინციპული მნიშვნელობა. ფაქტი LSის გრამატიკულ აბდექტოდ მოვლენისა მეტად საგულისხმოა. მას აქვს პრინციპული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა არა მარტო ფერედინულისა და საზოგადოდ ქართულისათვის, არამედ „ზოგადი ენათმეცნიერების“ ზოგიერთი ძირითადი საკითხების თვალსაზრისითაც.

„მეცნიერებათა წინსვლა მათს გამიჯვნაშია მიზნისა და სიშვალების მხრივო“, — ამ ელემენტითი კეშმარიტების შესახებ დღეს აღარავინ დაობს. ვითარება ნორმას, მას ყველა აღიარებს; მაგრამ მასში მოცემული პრინციპის ხორციელება მეცნიერულ სინამდვილეში გატილებით უფრო ძნელია, ვინემ პრინციპის აღიარება, და იქ, სადაც ეს ყველაზე უფრო საჭიროა, საუკუნეთა მემკვიდრეობა დასტორიულად განმტკიციურებული ინერცია უფრო ძალუმია, ვინემ საჭირო თვალსაზრისის რეალიზაციის ცდა.

გრამატიკა და ლოღიკა დასაბამითვე ძნელი დასაცილებელი „თანამეინაკენი“ აღმოჩნდენ. ამას ლრმა მიზეზები ჰქონდა. აზრის, როგორც ლოღიკის შესასწავლი საგნის მხილება, მეტყველებაა. ამიტომაც აზრის ანალიზის დროს მეტყველებას ემყარებოდენ; ამით დასაბამი მიეცა ლოღიკის კატეგორიათა გრამატიკულ ინტენპრეტაციას.

და, წინაუკმო, გრამატიკაში თავი წამოყო „ლოგისტიკა“. ენობრივი სინამდვილის სქემატიზაცია და გრამატიკის შენობის აგება ლოლიკის ცნებებით იწყეს.

ამ აღრევას უსათუოდ შეუწყო ხელი იმ ისტორიულმა ფაქტმაც, რომ ლოლიკის და გრამატიკის დისკიპლინა ისეთ უნიკალურ მოლაპარაკე ერთა წიაღში წარმოიშვა და ვითარდებოდა, სადაც „ენობრივი აზროვნება“ ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგება ხოლმე ლოლიკის სტრუქტურას, ყველაზე უფრო ცუცუება მას. ამ დისკიპლინათა წარმომშობი წიაღი თუნდაც ერთ-ერთ სემურსა ან რომელსამე კავკასურ ენაზე მოსაუბრე უნი რომ ყოფილიყო, მეტად საეჭვოა; რომ ლოლიკა-გრამატიკის გამიჯვნა (თუ კი, საერთოდ, ეს ორი დისკიპლინა ჩამოყალიბდებოდა) ასე ძნელი ყოფილიყო...

უსათუოდ გაზვიადებულიად, მაგრამ კეშმარიტებასთან ნაწილობრივ მაინც ახლო მყოფად უნდა მივიჩნიოთ Mauthnerის აზრი, როცა იგი ამბობს: „არისტოტელეს ლოლიკა სხვა არა-უერთა, თუ არ ბერძნული ენის ერთი საინტერესო თვალსაზრისით განხილვა. არისტოტელეს სასაუბრო ენა ჩინური ან ლაკოტაური რომ ყოფილიყო, ის იძულებული იქნებოდა შევქმნა სრულებით სხვა ლოლიკათ“¹.

თანამედროვე ლოლიკოსი ასეთ აზრს უსათუოდ უარ-უაფს; ლოლიკა ენის მიხედვით არ იცვლება: ჩინური და დაკოტაური ენით იგივე სინამდვილე აღინიშნება, რასაც ყოველი სხვა ენა გადმოგვცემს. თვით გადმომცემი საშვალებისდაკალთაზე შეიძლება მმეტყველის ცნობიერებაში სხვადასხვა პროცესს ექმნეს ადგილი, მაგრამ ეს მეტყველების, თუ გნებული, აზროვნების ფსიქოლოგიას შეეხება, და ამა თუ იმ შე-

¹) „Die ganze Logik des Aristoteles ist nichts, als eine Betrachtung der griechischen Sprache von einem interessanten Standpunkte aus. Hätte Aristoteles Chinesisch oder Dakotaisch gesprochen, er hätte zu einer ganz anderen Logik gelangen müssen“. Mauthner, „Beiträge zu einer Kritik der Sprache.“ Stuttgart—Berlin. 1902. Bd. III, S. 4.

პახვევაში მის თავისებურებას იწვევს, მაგრამ აზრი ერთი და იგივე იქნება: მას განსაზღვრავს ერთი და იგივე სინამდვილე. ამგვარად: თანამედროვე ლოლიკა ვერ გაიზიარებს Mauthnerის აზრს, მაგრამ ლოლიკის ისტორია ნაწილობრივ მაინც უსათუოდ გაამართლებს მას.

საშვალო საუკუნეთა სქოლასტიკის ბრძმედში გატარებულ ევროპულ აზროვნებას ძვალ-რბილში გაუჯდა აზროვნების ის ცოდვები, რომელიც მეცნიერებამ ჩაიდინა მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ნორჩი იყო.

და რაზომ დიდი იყო აღრევა აზრის (როგორც ლოლიკის ობექტის) წინადადებასთან (როგორც მის აღმნიშვნელ სიმბოლოსთან) ჩანს იქიდან, რომ ჩვენს დროშიაც კი, როგორც Wundtის სიტყვებიდან ჩანს, ზოგიერთ ლოლიკოსს მსჯელობაში სუბექტისა და პრედიკატს გარდა — კავშირი (Kopula) მსჯელობის მესამე შემადგენელ ნაწილად მიაჩნია¹.

იგივე Wundtი შენიშნავს, რომ არისტოტელე კიდევ არჩევდა მსჯელობათი ორ სახეს: ისეთებს, რომელნიც მხოლოდ სუბექტისა და პრედიკატისაგან შედგებოდა, ისეთებისგან, რომელთაც მესამე შემადგენელ ნაწილად კავშირი უჩნდებოდათ, — მაშინ, როდესაც Boëthiusიდან დაწყებული საშვალო ლოლიკა სუბექტს, პრედიკატსა და Kopulას მსჯელობის არსებით შემადგენელ ნაწილად თვლიდათ² ... ასეთ შემთხვევა-

¹⁾ „Manche Logiker betrachten die Kopula neben Subjekt und Prädikat als einen dritten Bestandtheil des Urtheils“. Wundt, Logik, Bd. I, Dritte Auflage 1906, Stuttgart, §3. 153.

²⁾ „Wenn auch Aristoteles selbst noch zwei Arten der Urtheile unterschied, solche, die nur aus Subjekt und Prädikat bestehen, und solche, bei denen als dritter Bestandtheil die Kopula hinzutrete, so hat doch die Schullogik mindestens seit Boëthius begonnen Subjekt, Prädikat und Kopula, als die drei wesentlichen Bestandtheile hinzustellen“, ob. Wundt, op. cit. §3. 154.

ასეთი Schullogikის მშვენიერ ილუსტრაციად უნდა ჩაითვალოს გ. სტრუვის „ლოლიკა“, სადაც ვკითხულობთ: „Суждение (judicium) есть обозначе-

თა მსჯელობის ტიპიურ მაგალითად ცნობილი ყოფილი ინთენ-
და justus est (Homo—Subject; justus—Praedicat; est—Copula)¹. ცხადია აქ წინადადების ანალიზი აზრის ანალიზის მა-
თვერ გვევლინება: ლოლიკა—მეცნიერება, ამით ცხადია, ვერა-
ულს მოიგებდა.

იმავე სინამდვილის მეორედ უნდა იქნეს მიჩნეუ-
ლი ის არასანუგეშო სურათი, რომელსაც გრამატიკა წარმო-
ადგენდა და ნაწილობრივ ახლაც წარმოადგენს. წინადადების
ნაწილების აღსანიშნავად ლოლიკის ცნებათა Subjectის და
Praedicativის (ქვემდებარე-შემასმენლის) ხმარება იქაც კი, სა-
დაც ეს საკლასიფიკაციო ფაქტების მიმართ აშკარა ძალადო-
ბას წარმოადგენს, ბრუნვათა მონათვლა მნიშვნელობის მიხედ-
ვით—აი ორიოდე სანიმუშო უბედურება იმ მრავალ უბედუ-
რებათაგან, რომელიც გრამატიკას ლოლიკასთან აღრევის გამო
შემკვიდრეობად ერგო ისტორიისგან².

- უს ხმარების წესმა ცხადუთ, რამდენად შეუფერებელია
ლოლიკის ცნებები გრამატიკის შენობის ასაგებად: ლოლი-
კი ხედავს სუბდენქტის იქ, სადაც ენისთვის გხო-

ას признаковъ данного предмета. Въ суждении три составные части или члены (partes constitutivae): во-первыхъ, предметъ, признакъ котораго обозна-
чается; во-вторыхъ, признакъ данного предмета, и, наконецъ въ третьихъ, от-
ношеніе между признакомъ и предметомъ. Первая часть суждения называется подлежащимъ или субъектомъ суждения (subjectum judicij). Вторая—ска-
зываемымъ суждения (praedicatum judicij). Третья, наконецъ, связкою или от-
ношениемъ (copula sive relatio judicij).⁴ „Элементарная логика“,
55. 37. გამოსულია ეს სახელმძღვანელო 1904 წ. (С.-П.Б.), ხოლო მისი ავტორი
სახელმძღვანელოს უბრალო შემდგენელი კი არ არის, არამედ, როგორც წიგნებ
რამერიდან ჩანს: „докторъ философіи Іенскаго и Московскаго Университе-
татъ, заслуж. ордин. Профессоръ Императорскаго Варшавскаго Университе-
та, почетный членъ Московскаго Психологическаго Общества“.

¹) რომ Kopulas არსებობა აქ ლათინური ენის თვისებით აიხსნება და
არ აზრის ბუნებით, აშკარავდება არაბულით, სადაც იგივე აზრი ორი სიტყვით
გვდაგენა: **الرجل عدل**: „კაცი სამართლიანი“:

²) არ არის გამორიცხული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ ფსიქოლოგიური
კრიტერიუმი ენთბრივი სინამდვილის შესწავლის ცდა გრამატიკას ახალ საფრთხეებს
ანუსარებოდა.

ლოდ ობეგქტია. უკეთ რომ ვთქვათ, ობეგქტი კი არა, არავედ ლოლიკური ობეგქტის ექვივალენტი ფორმა! ინდო-ევროპულ ენებში ლოლიკის და გრამატიკის ცნებათა შორის, დიდ წილ შემთხვევაში მაინც, პარალელიზმი არსებობს. ეს ქვეყნის შესაძლებლობას ერთს სინამდვილეში გამომუშავებული ცნების შესწავლისას გადატანილი: ლოლიკის გრამატიკულება—მეორეში იქნეს გადატანილი: ლოლიკის გრამატიკული ინტერპრეტაცია, გრამატიკის ლოლიკური გაგება ამ ნიადაგზე აღმოცენდება.

ჩვენში ეს პარალელიზმი მეტად არსებით პუნქტებში ირლვევა: ვგულისხმობ ე. წ. ქვემდებარის და LSის ურთიერთობა: ამით ცხადი ხდება პარალელისტურ ნიადაგზე აღმოცენებულ ცნებათა ჩვენი ენის შესწავლისას გადმონერგვის უვარესობა: —ამ გარემოების მხილებაში — უმ ნაწილაკის მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისისით.

აქვე ირკვევა მეორე გარემოებაც. მიუხედავათ იმისა, რომ მეტყველება—აზრის სიმბოლოა (და გაშასალაშე დამოუკიდებელი არ არის: აზრის გარეშე იგი წარმოუდგენელია—ნორმა-ლურს პირობებში, რასაკვირველია!), ამ სიმბოლოს სალურის პირობებში, აზრის ლოლიკისაგან კუთარი ლოლიკი აქვს, აზრის ლოლიკისაგან განსხვავებული, იგი რამდენადმე მაინც თავის-განსხვავებული, იგი რამდენადმე მაინც თავის-განსხვავებული ყოფის მატარებელია. ამ თავადი, იმანენტური ყოფის მატარებელია, აზრის თვალიმანენტური ყოფის დასაყრდენი არის ფორმა: აზრის თვალიმანენტური ყოფის მატარებელი არის ფორმის იმასაზრისით მოქმედი, აკტივი, როგორც ვნახეთ, ფორმის იმასაზრისით მოქმედი, აკტივი, როგორც ვნახეთ, ფორმის იმანენტურმა ლოლიკამ შემწყნარებელ საგანს—პასივს, გაუთანანენტურმა ლოლიკამ შემწყნარებელი ფორმის შესწორა! Ergo: იმანენტური ყოფის მატარებელი ფორმის შესწავლის დროს ცნების აგებას საკლასიფიკაციო პრინციპალ ფორმალი მომენტი უნდა დაედოს¹.

¹⁾ ამით რიგი პრინციპული საკითხებისა ისმება, მაგრამ მათ განჩილვაში აქვერ შევალთ; მათ სხვა დროს დაუბრუნდებით. აქვერ შევალთ; მათ სხვა დროს დაუბრუნდებით. ინდო-ევროპულთან შედარებით მშვე-კართული ზმნების თავისებურებათ ინდო-ევროპულთან შედარებით მშვე-კართული ზმნებით ახასიათებს პროფ. ა. ჭანიძე (შდრ. „პრეფიქსები ქართულ ნიერი შენიშვნებით ახასიათებს პროფ. ა. ჭანიძე“).

ცე ნაწილაკი და მისი მნიშვნელობა.

როცა -ცე ნაწილაკი LOs აღნიშნავს — მისი შესატყვისი არც კილოებს (იგულისხმება ისეთები, რომელთაც ეს ნაწილაკი არ გააჩნიათ), არც სამწერლობო ენას არ მოეპოება. მაგალითად: ფერედი.: 1. მე ოქა-ხანის კაცებს უთხარუე ცირ. ლიტერატ.: „მე ოქა-ხანის კაცებს ვუთხარი“); 2. თა ას იურ, ქართველებს ვერ აწესებდენ“ (= „სანამ იგი იყო, ქართველებს ვერ აწესებდენ“) ¹.

ხოლო როცა ეს ნაწილაკი LSით არის გამოწვეული, მის შესატყვისად თან-სუფიქსი გვევლინება. მაგალით.: ფერედი. 1. ნე გეშინააუე, დედაკაცებთან საქმე არა გრე (—ნუ გეშინიათ...); 2. ტანისამოსი გემეუცვალაუე (—ტანისამოსი გამოეცვალათ); 3. რაძა რთ ჭერნდაუე მაღიებს, ისიც ჭაქიმა მაიტანა (—რაც რომ ჭერნდათ მაღიებს...)

ამას თავისი ისტორია აქვს; ცნობილია, რომ ძველს ქართულს შესატყვისს შემთხვევაში თან-სუფიქსი არ მოეპოება. მაგალით.: 1. ვითარცა იხილეს სარკინზთა მათ. ცეცხლი. ივ. შეეშინა შიშითა დიდითა (იხ. Keimena, გამოც. პროფ. ჭ- კეკელიძის მიერ, ტფილ. 1918, გვ. 29): სარკინზთ შეეშინდა! 2. გხედავ თქუენ რ. გნებავს სმენად (ib. გვ. 35): თქუენ გნებავს! 3. თანა ჭუვანდა მათ. ერთი. მენავეთაგანი (ib. გვ. 38): ჭუვანდა მათ! 4. და უპრდა უღმრთოთა მათ. სიმენტ იგი (ib. გვ. 38.): უპრდა მათ! 5. მტერთა მათ. ღმრთისათა შეუეუარდა იგი (ib. გვ. 40): მტერთა შეუეუარდა!

„სამარტინი“, გვ. 69 და შემდ.), თუმცა გასაგები მიშეხების გამო ამაზე დიდხანს არ ჰქონდება (ეს არც იყო საჭირო მისი მთავარი მიზნისთვის!). მხოლოდ სათანადო შემთხვევებში LOi მკვეთრად არ არის გამოცალკევებული იმ შემთხვევებში, როცა ისა წინამდებრივადაც ობიექტია: განსხვავებას მაშინ ექცევა ყურადღება, როცა ლილითა და ენის ურთიერთობაში კოლიზია იქნება თავს: ე. ი. როცა LSი— შემთხვევად „ობიექტად“ არის განფასებული. მაგრამ ეს გადმოცემას უფრო შეეძლო, უნდეს აზრს, რომელიც უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

2) გამონაკლის შეადგენს ის შემთხვევები, როცა LOi არის თქვენ სი- ცირ მაგალით.: „უნდა გითხრა შენ“, მაგრამ: უნდა გითხრათ თქვენ; ასევე: უნდა გადმოცემა, მოგიტანოთ, გაუწყოთ .. (შდრ. ძველი ქართულის: „ხოლო მე უათ წით თქვენ“, Keimena, გვ. 32). ამას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

და ეს გასაგებიცაა: თანი სუბჟექტური სუფიქსია მრავალობითი რიცხვის პირველისა და მეორე პირის, ხოლო აღნიშნულ შემთხვევებში, როგორიცაა: გნებავს თქუენ, ჭეავდა მ-თ, უპკრდა მათ, შეუუკარდა მტერთა — „თქუენ“, „მათ“, „მტერთა“, ენობრივად სუბჟექტი კი არ არის, არამედ ობჟექტი.

მაშასადამე, კითხვა იბადება: რას უნდა მიეწეროს თანამედროვე სამწერლობო ქართულში თან-სუფიქსის ხმარება მრავლობითს რიცხვში იქ, სადაც იგი ძველს ქართულში არ იხმარება? ორი შესაძლებლობაა: I. ან გამოიცვალა კონსტრუქცია: LSი გრამატიკულადაც სუბჟექტად იქმნა მიჩნეული ევროპული ენის ზეგავლენითა თუ სხვა მიზეზების გამო, და მაშინ ეს ენის ყოფაში თვალსაჩინო გარდატეხაა: თანი უწინდებურად სუბჟექტურ სუფიქსად რჩება, მხოლოდ სუბჟექტის გაგება შეიცვალა: სუბჟექტად ის არის მიჩნეული, რაც ძველი ქართულისათვის ობჟექტი იყო. ან არადა II: თან-სუფიქსს მიეცა ახალი მნიშვნელობა: ის ობჟექტური სუფიქსის ფუნქციით აღიჭურვა, წინადადების ელემენტის გაგება კი უცვლელად დარჩა.

ამ საკითხის გადაწყვეტა ამეამად ძნელია: მას სჭირდება ისტორიული განხილვა და გენეტურად გამოწვლილვა; ქართულ სამწერლობო ენასა და კოცხალ თანამედროვე კილოებში თუ სამისო მასალის შეგროვება-დამუშავებამდი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ნაადრევი იქნებოდა.

ამ თავითვე ერთი რისამე აღნიშვნა შეგვიძლია და საჭიროც არის: გარე-კახურში ჩვენ გვაქვს უტყუარი ნიშნება იმისა, რომ თან-სუფიქსი—ობჟექტური სუფიქსის ფუნქციის იძენს: არამარტო იქ იქვს მას ადგილი, სადაც მას ქციას იძენს: არამარტო იქ იქვს მიცემითი ბრუნვით არის გადვად Oი, მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული), არამედ იქაც, სადაც ენობრივადაც და ლომცემული), არამედ ობჟექტი მრავლობ. რიცხვის მიცემითი ბრუნვით ღიკურადაც ობჟექტი მრავლობ. რიცხვის მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა; მაგალითად: 1. იმათ ეუბნებათ, ძმებს ეუბნებათ ის

დევი; 2. მემრე უთხრათ იმათ...; 3. მიგამევე ხანგალი და მოგ-
ჭადით, [იგი] იმათ ატეუებთ, ამხანაგებს...; 4. ჩამაგდი ძირსა და
დაუძახათ იმათ ნაცარქექიამ...; 5. ერთ აფაგას... ცხრა ძმანი დე-
ვებია — იმათ გაუამხანაგდათ ნაცარქექია...; 6. რო დაინახა ჩახჩახ
— ხემწითებამ ანთებული თივი ძირები, იქ მოვიდა: მელიას ჩირადდნებია!
შერე დაუხვდათ (იმათ) მელია თავმოწინებული...; 7. იმან ჰეითხათ
ჩიტებს: რისი გამოსადეგიათ...; 8. ახლა პატარაშ უთხრათ (ძმებს):
მოდი... მეც წაგალო...; 9. მაინც ახში დამძალათ იმ პატარა ძმაშ
ზიდ ძმებს, კიდე აუიდინათ...; 10. ჰეითხულობს და იპოვნა და
უთხრათ (მათ, ძმებს) რო სად არი თქვენი უმცროსი ძმათ; იმათ
უთხრეს: სადაა, არა გმეავ, მოგზიგვდათ; უთხრათ რო (ძმებს) არა
საფლავი მაჩვენეთო....

ყველა ამ შემთხვევებში თანის ნაცვლად-უ შეგვიძლია
ერთპაროთ: იმათ ეუბნებათ — იმათ ეუბნებაუ; იმათ უთხრათ — იმათ
უთხრაუ; იმათ დაუძახათ — იმათ დაუძახაუ; იმათ გაუამხანაგდათ
— იმათ გაუამხანაგდაუ; იმათ დახვდათ მელია = იმათ დახვდაუ მე-
ლია... და სხვ.

გარე-კახურში გრამატ. Oის, ხოლო LSის აღსანიშნავად,
ისევე, როგორც სამწერლობო ენაში თან სუფიქსი იხმარება:
უწერათ, უგზავნათ, უკეთებიათ... ასეთ შემთხვევებში თანი
-რეს მაგიერლობას ეწევა უკელვან; იმავე გარე-კახურში თანი
-რეს ფრენტის იძენს მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი LOის
მაცემი. ბრუნვაში აღნიშნავს... მას -უ ნაწილაკის ორივე ფუნ-
ქცა მოეპოვება: აღნიშვნა GrOისა, ხოლო LSისა (მიცემით-
ში) და GrOისა=LOისა იმავე ბრუნვაში.

ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ეს მოვლენა იმ ტენდენციის
გამოყენებულ მოვლენით, რომელსაც სამწერლობო ქართულ-
ში უწერათ სპორადულად (ჭრა გათხრათ, გაუწეოთ, გიჩიგ-
დათ... ა. შტ.), სადაც თანი LO=GrOზე მიგვითითებს...

კარგი გამოყენებულ ამ მოვლენის მასნა აღვილია, თუ მო-
ვლენისთვის, რომ უკეთებია იქ კუტანია და იხმარება,
აუმჯობესობა, მიუჩნდობა კუნთხუმიერობა. მას მნიშვნელო-

ბა შეუნახავს, ხმარება კი იშვიათი გამხდარა; უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საკუთარი უძლურებისა და „გახუნების“, ე. ი. შინაგანი მიზეზებისა გამო კი არ ისპობა, არამედ სხვა გარეშე პირობების ზეგავლენით.

საფიქრებელია, რომ ქართლურის ზეგავლენამ მოუსწოდა მას სიცოცხლე და უღებს მას ბოლოს.

არ არის ამიტომ გასაკვირი, თუ ამ ობექტურ ნაწილაკს შეჩვეულმა ფსიქიკურ მოსპობის გზაზე დამდგარი ნაწილაკის ფუნქცია თან-სუფიქსს გადაულოცა იქაც კი, სადაც ქართლური ან სამწერლობო ენა ჯერ კი დევ არ მოიხმარს ამ უკანასკნელს.

ასე რომ თან-სუფიქსის გაობექტურება გარე-კახურში ადვილი გასაგებია, მაგრამ რას ემყარება სამწერლობო ქართულით მოსაუბრე, როცა იგი LS და Gr ულ ობექტთან იმავე თანს მოიხმარს (უნდა გითხრათ, გაუწეოთ...): ხომ არ თამაშობს აქ რაიმე როლს ის ფაქტი, რომ ქართულ კილოთა შორის -ცე ნაწილაკის მქონე კილოთა ტერიტორია არა ნაკლებ ვრცელია, ვინემ იმ კილოების, რომელთაც იგი არ გააჩნიათ?

ამ საკითხს აქ ლიად ვტოვებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სუბექტური თან-სუფიქსის ხმარება სცილდება „წესიერ“ ფარგლებს. 1. იგი უკვე ყველგან გვხვდება იქ, სადაც LS ხოლო Gr On მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვითაა აღნიშნული, რასაც ძველს ქართულში ადგილი არ ქონდა, და 2. სამწერლობო ენის ზოგიერთს შემთხვევაში („თქვენ“ ობექტთან), ხოლო გარე-კახურში სხვაგანაც იგი მიუთითებს LOis (= Gr Ons) აღმნიშვნელ მიცემით ბრუნვიზე მრავლობით რიცხვში: აქ უკვე მისი ფუნქციები პრინციპულად -ცე ნაწილაკის ფუნქციებს ჰქონავს.

ამასთან დაკავშირებით, რაკი ობექტური ფუნქციების მიღებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეგვიძლია არაღვნიშნოთ, რომ ქართული სამწერლობო ენისებრ მოვლენას სვანურში-დაც ვხვდებით; მაგალითად:

{ ნიშვრა = ჩვენ გვიყურთხე- ნა ნაშვრა = ჩვენ გვიშრია გურიაშვრა	{ ნიშვრა = ჩვენ გვიშრია გურიაშვრა
სგა ჯიშვრახ = თქვენ გიყურ- თხებიათ	სგა ჭითრახ = თქვენ გიშრიათ ეფიანს ხოთრახ = იმათ უშრიათ ¹
უფასას ხოშვრახ = იმათ უკურ- თხებიათ	

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ორც სვანურში, ორც
კართულში მრავლობითი რიცხვის პირველ პირთან თ-სუ-
კავში (ან მისი როლის შემსრულებელი ხ-სვანურში) ორ იხ-
უაქსი (ან მისი როლის შემსრულებელი გ-სვანურში) არ იხ-
უაქსი: გვიგურთხებია, გვიშრია... გვიწერია, გვიკითხავს (შდრ.:
მარება: გვიგურთხებია, გვიშრია... გვიწერია, გვიკითხავს, გვითხავს, გვი-
უაქსი... უგურთხებიათ; გიშრიათ, უშრიათ... გვითხავს, გვი-
უაქსი...). ყვი ნაწილაკიც ორ იხმარება, როცა GrOი = LSი,
შემთხვევაში რიცხვის პირველ პირში დასმული: „ჩო გუბუ-
შემთხვევაში რიცხვის პირველ პირში დასმული: „ჩო გუბუ-
შე... (=გავიგია), გუწერია—და ორა: გუბუბაუე, გუწერაუე...
უს ასეც უნდა იყოს: როგორც ქართულში, ისე სვანურში რე-
ალურუ ზენებში მრავლ. რიცხვის პირველ პირში—სათანა-
ლო პრეცისი („გუ“, „ნი“) ოღნიშნავს მრავლობითო-
ბის მიურაობას მე—გვიგურთხებია წევნ, მაშვრა მი—გუშვრა
(მაშვრა) ნი, — ას რომ ამ პირში ობევქტის მრავლობითობის
აღმართვა სურავს სრულებით არ არის საჭირო.

სამართლიან, მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პი-
რველ პრეცისის მიზან მოლოდინითი რიცხვისაგან არ გა-
ნიხურთვა და ას კი ენის ურთვებს შესაძლებლობას გამოიყე-
ნს სურავს წინაშე:

მიურაობა (წევნ)	მიურაობა (წევნ)
მიურაობა (წევნ)	მიურაობა (თქვენ)
მიურაობა (წევნ)	მიურაობა (მათ)
მიურაობა (წევნ)	მიურაობა (ნაშვრა) ნაშვ
მიურაობა (წევნ)	მიურაობა (სგა)
მიურაობა (წევნ)	მიურაობა (ეჯიარს)

გუბუშრაობა (წევნ)	გუბუშრაობა (თქვენ)
გუბუშრაობა (მათ)	გუბუშრაობა (ნაშვრა) ნაშვ
გუბუშრაობა (სგა)	გუბუშრაობა (ეჯიარს)

რომ სუფიქსალი წარმოება სათანადო პირებში პრე-
ფიქსების განსხვავებულობაზეა დამყარებული, ცხადი ხდე-
ბა მეგრულის შემწეობით: იქ ობექტური პრეფიქსის მხრით
(რელატ. ზმნებში) მხოლოდითის პირველი პირი არ განირ-
ჩევა მრავლობითისაგან, ამიტომაც ობექტის მრავლობითობას
სუფიქსი აღნიშნავს, (ისევე, როგორც მრავლ. რიცხვის
მეორესა და მესამე პირში): პირველი პირი—მეორე და მესა-
მისაგან არაფრით განსხვავდება:

მა მიკურთხებუ	(მე მიკურთხებია)
სი გიკურთხებუ	(შენ გიკურთხებია)
თის. უკურთხებუ	(მას უკურთხებია)
ჩქი მიკურთხებუნა	(ჩვენ გვიკურთხებია)
თქვა გიკურთხებუნა	(თქვენ გიკურთხებიათ)
თინენს უკურთხებუნა	(იმათ უკურთხებიათ).

(მეგრულის შესახებ იხ. ქვემოთ). სვანურში სხვა გარე-
მოებათ ახლა ვერ გამოუდგებით, მხოლოდ ერთს თავისებუ-
რებას მივაქცევთ ყურადღებას: ობექტური ნაწილაკის ფუნ-
ქციებს იქ მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბექტური
სუფიქსი ხანი იღებს (და არა პირველისა და მეორე პირის
სუფიქსი შეასებ იხ. ქვემოთ). თვითონ სვანურში ამ
დონი, როგორც ქართულში თანი). თვითონ სვანურში ამ
სუფიქსის ბუნებისათვის ეს დამატიქრებელი მოვლენაა და კით-
ხვას ჰბაჟებს: როგორია ამ ხან-სუფიქსის გენეზისი?—

ამ საკითხის განხილვაში იქ ვერ შევალთ.

ორიოდე სიტუა მეგრულის შესახებაც.

აქ: A) LS=Gr Oთან მრავლობით რიცხვში სუბექტუ-

რი სუფიქსი ყველა პირში გვაქვს:

მა მიჭარუ (მე მიწერია) —ჩქი მიჭარუნა(ნ) (გვიწერია)

სი გიჭარუ (შენ გიწერია) —თქვა გიჭარუნა(ნ) (გიწერიათ)

თის უჭარუ (მას უწერია) —თინენს უჭარუნა(ნ) (უწერიათ¹).

¹⁾ შდრ. Проф. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (ивер-
ского) языка. СПб. 1914. гл. 80, 85, 87...

აქაც, ოოგორც სვანურში, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსია გამოყენებული (და არა პირველისა და მეორესი): ამ მხრივ მეგრული და სვანური ერთ ჯგუფს ჰქმნის.

B) LOo (=Gr Oo) სუფიქსით აღინიშნება იმ შემთხვევაში, როცა მას ქართულ სამწერლობო ენაშიც ვხვდებით:

1. გირაგადუქ სი, (გეუბნები შენ)
გირაგადუთ თქვა (გეუბნებით თქვენ)
2. ჟიარუნქ სი (გწერ შენ)
ჟიარუნთ თქვა (გწერთ თქვენ) და სხვა.

-**ყე** ნაწილაკი და კილოები. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ -**ყე** ნაწილაკი დამახასიათებელია კილო-თქმითა მთელი წყებისათვის. ენის აგებულებაში ასეთი ნაწილაკის არსებობა იმდენად დამახასიათებელია, რომ შეიძლებოდა ყველა ცოცხალი ქართული თქმა-კილოები დაგვეუყნონ მას გვინედ და არამეონედ¹; საინტერესო ის არის, რომ ამ უკანასკნელთა შორის ერთ წრეს ქმნიან: ქართლური და თურქურის კუთხის ურთისებული-აღმოსავლეთში, გურული—დასავლეთში, ხორვა-კუთხე მხარეზე დგანან: რაჭულ-ლეჩებურულ-იმერული (დასავლეთი) და ფერედინული, ინგილოური, კახურ-ქიზიყურ-მაკედონური.

თუ ამ გვაუიქრებინებს ეს, რომ -**ყე** ნაწილაკების მქონე კუთხის კუთხი-ტერიტორიიდან უწყვეტ ზოლს წარმოადგენს და ამ ზოლში შემოიკრა ქართლური, (მაშინ, როდესაც კუთხი-ტერიტორული -**ყე** კილოთა ჩრდილოეთით დარჩა მოქმედი გვაუიქრების მასში).

ეს (და მისი!) ხევითები უწინარეს ყოვლისა ისტორიულ სამეცნიერო მიხედვით უნდა წყდებოდეს: ენობრივი ენერგეტიკური მეცნიერების მიხედვით უნდა წყდებოდეს:

1. მაგრამ მარტინ სტოლპენის კლასიფიკაცია შეიძლება ყოველი მარტინის მიერთონ: მარტინ სტოლპენი და ქართველი იქტება იტი მოსალიდი ის უკანასკნელი, თუ ადგინდება კლასიფიკაცია მარტინ არამეტი და არა მეორე ბარის მოვანი უკანასკნელი. მაგრამ მარტინი არა უკანასკნელი და უკანასკნელი უკანასკნელი მეორე მოვანი უკანასკნელი არა უკანასკნელი და უკანასკნელი.

რავი არგუმენტი აქ გადამჭრელი ვერ იქნება, (თუმცა ასეთი საკითხის დასმა ისტორიის მიმართ—ენობრივ მოვლენასაც შეუძლია); ამ შემთხვევაში ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითეთ მხოლოდ იმისთვის, რომ მის ნიაღაგზე გასაგები იქნებოდა, როთ აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე ენობრივად მნიშვნელოვანი მოვლენა თავს იჩენს ისეთ დაშორებულ კუთხეებში, როგორიცაა საინგილო და რაჭა, მაშინ როდესაც კახეთის მეზობელ ქართლს იგი არ გააჩნია¹.

* * *

დასასრულ: ერთი გარემოებაც. -უე ნაწილაკი დადასტურებულია ლიტერატურაში მე-XI საუკუნიდან; იგი გვხვდება დავით ალმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებულ ანდერძში: შემდეგ მე-XIII საუკუნეში—დავით ნარინის სიგელში; ნერსე დიდი მთავარ ეპისკოპოსის წინასწარმეტყველებაში (XIII ს.); „ვისრამიანში,“ „ვეფხის-ტყაოსანში,“ დაბეჭდილ ბიბლიაში და სხვ.; ყველგან სპორადიულად (გარდა დავით ნარინის სიგელის (:ერთ გვერდზე ვ ჯერ); ხოლო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ხელნაწერში №52, რომელიც XII—XIII საუკუნისა უნდა იყოს, იგი საკმაოდ ხშირია, შეიძლება ითქვას, სისტემატიურადაც იხმარება².

მაგალითები: 1) ...თუ ადრითგან მამათბისა ეწერა უე საებისკონსოდ, (დავით ალმაშენებლის ანდერძი შიო-მღვიმის მონასტრისადმი, —თ. ეორდანია, ისტორ. საბუთები, გვ. 186).

2) ...„ჭაგრებე მიუბოძე დაუღუდი და რისაც ნადირობაი გამოაჩნდეს უე და მოკლევაი ესე ...მისი ნადირობაი არ ჰქონდეს უე, მას ტყისა მცველთა უ]ხუცესი და ტყის მცველი

